



მოხარება გუშინდელ სდომაზე 9 საკითხი განიხილა

საპარტიველო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლაშვანი ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი განიხილა.

საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისა და ჯავშანსანააღმდეგო შესაძლებლობის გაუმჯობესების მიზნით, მთავრობა ტანკსანააღმდეგო გადასატანი სარაკეტო სისტემის „JAVELIN“-ების დამატებითი პარტიის შესყიდვაზე მუშაობს. როგორც ცნობილია, 2021 წელს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსთვის დამატებით 30 მილიონი დოლარის „JAVELIN“-ების შესაძლო საგარეო სამხედრო გაყიდვის შესახებ გადამწყვეტილება მიიღო. თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში, შეუფერხებლად ჩა-

ტარების მიზნით, ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ახალ ტანკსანააღმდეგო გადასატანი სისტემა „JAVELIN“-ს გამარტივებული წესით შეისყიდის.

თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ „JAVELIN“-ის სისტემის შესყიდვა, ჯამური ღირებულებით 26 მლნ 246 ათასი 866 აშშ დოლარი, დაფინანსდება შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი თანხებით, ასევე, შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადა-

რიცხული თანხებით. მთავრობამ გუშინდელ სდომაზე ასევე განიხილა პროექტი „ნამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანის მიზნით, იმპორტიორებისათვის სავალდებულო ხდება ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის (კარგი სანარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა; GMP-ის სტანდარტის დოკუმენტის, სავალდებულო წესით წარდგენის ეტაპობრიობასა და პირობებს მიმდინარე წლის მარტამდე საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. ცვლილების მიზანია, უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი მიდგომები ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებლებს, საბითუმო რეალიზატორებსა და იმპორტიორებს შორის. მთავრობა პარლამენტს კანონპროექტის დაქარაუბლებული წესით განიხილვის თხოვნით მიმართავს.

„ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო ბოიკოტს წყვეტს

ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე ხატია დეკანოიძემ განაცხადა.



„არა მხოლოდ ფრაქციაში, პარტიის შიგნით იყო ინტენსიური მსჯელობა, ყველა ჯგუფთან, რომელიც წლების განმავლობაში იბრძვის არსებული ვითარების შესაცვლელად. შაბათს, შესვლამდე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“ საპარლამენტო საგაზაფხულო სესიაში ჩაერთვება, შეწყვეტს ბოიკოტს“, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ. მან განმარტა, თუ რატომ მიიღო ფრაქციამ ეს გადაწყვეტილება.

„მირველ რიგში, მოგესხენებათ, რომ ჩვენი პარტია და ზოგადად, ქვეყანა არის უმძიმესი რეალობის და გამოწვევის წინაშე. საქმე ეხება იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი არის საპროცესო რეჟიმში, დატყვევებული რეჟიმის მიერ. არა მხოლოდ ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოება არის ჩამოყალიბებული იმაზე, რომ ეს არის რეჟიმის პოლიტიკური შურისძიება და ივანიშვილის პოლიტიკური შურისძიება. ამიტომ, ჩვენი საპარლამენტო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება საჯარო მხილება რეჟიმის, თუ როგორ ეყრდნობა რეჟიმში რეპრესიული ინსტიტუტების გამოყენებით სააკაშვილს, თუ როგორ მოექცა მას არაერთხელ და სწორედ ამისთვის ვაპირებთ საგამოძიებო კომისიის დარეგისტრირებას. დღესვე დარეგისტრირდება საგამოძიებო კომისია. ვიმუშავებთ ჩვენს კოლეგებთან, ვიმუშავებთ ოპოზიციასთან იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება მალე ამოქმედდეს ეს კომისია, ჩვენი ფრაქცია დღესვე იწყებს ხელმოწერების შეგროვებას“, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

მის საპარტიველო: ნახვებ გადაწყვეტილებას ალკა უნაწი და... შემოგვრძნება საპარტიველოს პარლამენტში

საპარტიველო პარლამენტი ბერკეტია ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაზე ზეწოლის. ამიტომ, როდესაც აწყობს, პარლამენტი არის ლეგიტიმური ორგანო და როდესაც არ აწყობს – არალეგიტიმური, გაყალბებული არჩევნების შედეგად შეკრებილი ორგანოა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა გია ცაგარეიშვილმა მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა. ცაგარეიშვილმა მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციამდე გაგვლენის შესახებ ისაუბრა და ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში შესვლა-არ შესვლაზე.

„არ ვიცი, რას მოელოდა, როდესაც განუბნებულ ტვირთად შემოიპარა საქართველოში – არაფრის კონტინენტში გამოკეტილი, რაც ზოგადად სამარცხინო მოვლენაა და ვფიქრობ, უნიკალურიც. ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ქურდობაცა-ცასავით, კონტინენტში გამოკეტილი, შემოპარული ქვეყანაში – გაგიგიათ ასეთი პრეცედენტი? მე – არა.“

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა მიხვდა, რომ ხელისუფლების დამხობა არის შეუძლებელი და ამაზე სამართლიან და სამართლებრივ პასუხს მიიღებენ.

რუსთაშის საკრებულოს თავმჯდომარე პარტია „საპარტიველოსთვის“ წევრი ნოდარ შეროზია აირჩიეს

რუსთაშის საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წევრი ნოდარ შეროზია აირჩიეს. საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად მხოლოდ მისი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი.

კენჭისყრის შედეგად, შეროზიამ 18 ხმა მიიღო. მას „ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია და საკუთარი კანდიდატურა არ დაუსახელებია „ქართულ ოცნებას“.

რუსთაშის საკრებულოში „ქართული ოცნების“ – 16, „ნაციონალური მოძრაობის“ – 16 და პარტია „საქართველოსთვის“ სამი დეპუტატია.

ირაკლი ლაშვანი: ფარმაცევტულ ბაზარზე სხვადასხვა იმპორტიორებს, რომელთა ფასების ნაშთები ხშირ შემთხვევაში აღემატება 200, 300, 500 პროცენტს!!!



საპარტიველოში ფარმაცევტული ბაზარი არის კონცენტრირებული, გამოირჩევა პოლიდინგური ჯგუფების გარკვეული მოცემულობით და პოლიდინგური ჯგუფების ქონა განაპირობებს კომერციულ ინტერესს და მოქალაქეებისთვის მცირე დანახარჯის შესაძლებლობას, – ამის შესახებ ირაკლი ლაშვანი, იმედი LIVE-ზე განაცხადა. კონკურენტების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, ქვეყანაში იმპორტირებულ ნაწილებზე ფასნამატი 1000%-საც კი აღწევს.

„საქართველოში გვყავს 160-მდე იმპორტიორი. თუ მსხვილი ჯგუფების საშუალო ფასნამატი არის დაახლოებით 7-25%-ის ფარგლებში, რაც სასებით ნორმალურია, საქართველოს ბაზარზე ვხვდებით მცირე იმპორტიორებს, რომელთა ფასების ნაშთები ხშირ შემთხვევაში აღემატება 200, 300, 500%-ს და 1000%-იანი მატებაც კი (არის)“, – განაცხადა ლაშვანი.

ამ სპეკულაციური კომპარატიდან გამოსავალი ელექტრონული რეგისტრაციის დანერგვაშია, ლაშვანი ამის თქმით, ეს საქართველოს მოქალაქეებს მდებარეობის დასახარჯებს შეუშინებდა.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში დაინერგოს ელექტრონული და ჯენერიკული რეცეპტების სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სისტემის მოწესრიგება მოქალაქეს მისცემს არჩევანის საშუალებას და უზარუნებს არაკეთილსინდისიერი მარკეტინგის ფაქტებს, რაც დღეს რეალურად ზრდის ჩვენს დანახარჯს“, – განმარტავს ლაშვანი.

ზურაბ აზარაშვილი: საპარტიველოში ნაშთის ლაბორატორია შეიქმნება

საპარტიველო ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, მთავრობის დღევანდელ სდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, როგორც მინისტრი ამბობს, ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანის

მიზნით, იმპორტიორებისთვის სავალდებულო ხდება ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

„მთავრობის სდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ. პირველი ეხება იმპორტიორებისთვის აუცილებელი წესით GMP-ის სერტიფიკატის მოთხოვნას. როგორც გახსოვთ, პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის მიმდინარე განმავლობაში ამ სერტიფიკატზე გადასვლის აუცილებლობა. იმპორტიორებს ვთხოვთ GMP-ის სერტიფიკატს“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

მისივე თქმით, ნამლის ხარისხის კონტროლის მიზნით მიმდინარე წელს საქართველოში ნამლის ლაბორატორია შეიქმნება.

„უფრო კარგად და ხარისხიანად რომ ვაკონტროლოთ როგორც იმპორტირებული, ისე ადგილზე წარმოებული ნამლის ხარისხი, ჩვენ მიმდინარე წელს საქართველოში შევქმნით ნამლის ლაბორატორიას. ამისთვის ბიუჯეტიდან ექვს მილიონამდე თანხა უკვე გამოყოფილია და პროცესი დაწყებული გვაქვს, რათა უმოკლეს ვადაში მოვანყვით. აქვე, მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ინფექციური საავადმყოფოს ახალ ლოკაციაზე გადაყვანას და იმ ახალ შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნული გადაწყვეტილება დაქარაუბრულად იქნა მიღებული. მიმდინარე წლის ბოლომდე ახალ ლოკაციაზე გადავიყვანთ მათ და გვექნება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და უმაღლესი სტანდარტების მქონდე კლინიკა“, – განაცხადა აზარაშვილმა.

კომიდაფიტივა პარლამენტში

პარლამენტის დეპუტატების მასობრივი ინფიცირების გამო, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომა გადაიდო.

სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატების: ბადრი ჯაფარიძის, შალვა ნათელაშვილისა და ელენე ხოშტარისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი უნდა განეხილათ.



დაუსხვეთ საინფორმაციო ღრუ მელაქუას! PIRVELI



ბედი არ გინდა, ბუნების, მართალია, ეშმაკი, მაგრამ კოლორიტილი ქმნილება თანამედროვე საქართველოს სამარცხვინო შეილება ყველა ბრუნვაში სატრიალებელი გაგვიხადეს.

დიახ, გვინდა თუ არა, ნიკანორ მელიას, ივერი მელაქვილი თუ ნოდარი კო მელაქის გადაწყვეტილი იძულებული ვართ არათუ პირადად მათ წინააღმდეგ განვეწყოთ, არამედ დედა ენაში ტერმინი მელაქუაც კი დავამკვიდროთ.

ძალაუბრად, პარალელს მათი ფიურერის სახელთან გაავლებ კაცი, რადგან ჯავახიშვილის, თუმანიშვილის, ქი-აურელის, ხერგიანისა და მესხის სამშობლოში ლამისაა მიხეილი უარყოფითი კონტექსტში მოვისხენიოთ. ასეთი შესავლის შემდეგ, მოდით, ძირითად სათქმელზე გადავიდეთ, მით უმეტეს, ზემოთ ჩამოთვლილი ტრიოდან თითოეული იმსახურებს „ერთი-ორ სემეში სიტყვას“, მაგრამ მათ შორისაც კი ადამიანთომოქულებითა და ყოველივე ქართულის შებღალვის უნარით „ტვ პირველის“ საავტორო გადაცემის გამოძიებულ ვაიჟურნალისტა კვა-ზიჯგუფის „მამაშა“ გამოირჩევა.

ამჯერად ღირსეული გვარის უღირსმა წარმომადგენელმა მიზანში დედაქალაქის მერი ამოიღო და კახა კალაძე 3-მილიონიანი ქონების 69-ათასიანი მიწის გაცვლაში დაადანაშაულა.

მართალია, პროფესიონალმა ქო-სატყუილამ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე მიიღო საკადრისი პასუხი, მაგრამ აღნიშნული ნაკლებრეიტინგული ტელეორდელის კიდევ უფრო მცირერიცხოვანმა აუდიტორიამ ხომ მოასწრო სადებინფორმაციო შხამით მონამვლა?

მოკლედ, სჯობს შვილი სჯობდეს მამასაოსი არ იყოს, მელაქემ, როგორც შეგირდმა, ბოლმის ნახევარში თვით თავის აღმზრდელ დიდოსტატს ნიკა გვარამიას გადაუჯოკრა და წარმატებით განაგრძობს ყვითელი მედიის თამაშის გადასალახავად დაწესებული ნორმების შესაბამის სრულყოფას — მე თქვენ გეტყვით, თავისივე ჯურის კოლეგების, პოლიტიკანებისა თუ ანტისამთავრობო სექტორის სახით სამაგალითო პერ-

სონაქების მოძიება გაუჭირდება.

სათქმელი, იცოცხლეთ, კიდევ ბევრია, ამიტომ ჯოჯოხეთის მაშხალათა მხილებას მომავალშიც მივუბრუნდებით, დღეს კი წერტილი ცილისნამების ადრესატის კახა კალაძის მიერ ზემოთნახსენებ სხდომაზე გაკეთებული განცხადების გაცნობით დავსვით:

„მინდა შევეხო ერთ თემასაც — ერთ-ერთ ტელეკომპანიაში, კერძოდ „ტვ პირველში“, რომელიც სივრცის ტირაჟირებითა დაკავებული და ყოველთვის ცდილობს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, გასულ სიუჟეტს. კონკრეტულად თემა ეხება ნოდარ მელაქის საავტორო გადაცემას, რომელიც გავერებულია სიც-რუით, ტყუილებით, სიძულვილით. ჩემს მიმართ ეს რაღაც ყოველდღიურობაში გადაიზარდა და სიხლეს არ წარმოადგენს. დიახ, მაქსიმალურად ცდილობენ როგორმე ტალახი მესროლონ და ა.შ.“

მთელი გადაცემა მიუძღვნეს ჭორს, თითქოს 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილ-მონაცვლეობა მოხდა და ჩემი ახსნა-განმარტებები მიჭრილ-მოჭრილად გაუშვეს. საქმე კი მარტივადია: ავლაბარში, თუ არ ვცდები 2015 წელს, გაიცა სამშენებლო ნებართვა სასტუმროს მშენებლობაზე, ტერიტორია წარმოადგენს სვერის ტერიტორიას, რაც არასწორია. რეალურად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეფასდა სამხარაულის ბიუროს მიერ. ასევე, ის კონკრეტული მიწის ნაკვეთიც შეფასდა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრება იყო. ერთნაირი თანების შესაბამისად მოხდა ადგილმონაცვლეობა.

ზოგადად, რეკრეაციულ სივრცეებთან დაკავშირებით იცით ჩემი დამოკიდებულება. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ რეკრეაციული სივრცეები გავანადგუროთ. ეს წლების წინ ხდებოდა — ანგრევდნენ სპორტულ მოედნებს, მწვანე სივრცეებს. დღეს მე და ჩემი გუნდი ასეთ ადგილებს ვუბრუნებთ ქალაქს და ეს მილიონები ჯდება. ამ შემთხვევაში გაკეთდა ადგილმონაცვლეობა. 2012 წლიდან პოლიტიკაში ვარ და ვერ მოიყვანთ ვერც ერთ ფაქტს, რომ კახა კალაძემ ვინმე დაჩაგრა, ბიზნესი წაართვა, ბიუჯეტიდან ფული მოიპარა და ა.შ.“

ბიკა პლატონიშვილი

ხალხის დაუსაქმებლად სიღარიბეს ვერ დაჰკლავთ!

ძალიან ბევრი ახალი ინიციატივა იგეგმება 2022 წელს, იმისთვის, რომ რეალურად შევძლოთ ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულების წახალისება და ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ უფრო მეტად შევძლოთ ჩვენი მოსახლეობის დასაქმება, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



მან ყურადღება გაამახვილა ე.წ. საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამაზე და აღნიშნა, რომ პრეზენტაციას მომავალ კვირას პრემიერ-მინისტრი გააკეთებს.

„დასაქმება არის ერთადერთი გზა, რომ ჩვენ დავძლიოთ სიღარიბე! თქვენ იცით, რომ საზოგადოებასთან გვეკონდა კომუნიკაცია 2021 წლის ბოლოს, როდესაც ვსაუბრობდით ე.წ. საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამის განხორციელებაზე ქვეყანაში, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ათეულობით ათას დამატებით ახალ სამუშაო ადგილს შევქმნიით. ეს იქნება შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი ჩვენი მოსახლეობისთვის, რომ მათ მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ და დამატებითი შემოსავლები მიიღონ. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი იყო საზოგადოებაში ამ პროგრამის დეტალებზე მოლოდინი, მათ შორის, მედიაში, თქვენგანაც ხშირად იყო ამაზე კითხვები. რამდენადაც ამის პრეზენტაციას გააკეთებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკვე მომავალ კვირას...“

დღიდი იყო საზოგადოებაში ამ პროგრამის დეტალებზე მოლოდინი, მათ შორის, მედიაში, თქვენგანაც ხშირად იყო ამაზე კითხვები. რამდენადაც ამის პრეზენტაციას გააკეთებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკვე მომავალ კვირას...“

ამ ბოლო დროს სად არ დამარბენინებს შემოჩენილი ფიქრები. დამარბენინებს კი არა, დამაქროლებს... თვით ამ საცოდავი, ჭირნახული, ომებით გადაღლილი, ადამიანების სისხლით სავსე და ამჟამად კი კორონაბაქტერიებით დაღდასმული და-ჭირიანებული პლანეტის ირგვლივაც კი ვიზირიალურ ცეცხლოვან მზესთან ერთად... მერე, გრილ შარავანდედში



რომის პაპზე მებ კათოლიკობას ირეპებენ!..

მიზნდელი, მორცხად მომზირალ მთვარესაც შემოვფრინებ. ყოველმხრივ შევხედ-შემოვხედ ამ ჩვენს დასწულულ დედამიწას და შევხინდი... მივხვდი, რომ მთვარე, მზეც და დედამიწაც მტკიცედ იცავენ კოსმოსურ წესრიგს. მაგრამ, რა ხდება, ჩვენთან, დედამიწაზე? ყოველმხრივ არეულობაა და მტკი არაფერი. უპირველესი ის არის, რომ შიმშილი ახალმა ინფიციაზმა.

აგერ უკვე ორი წელია და ჯერაც ვერ მივმხდარვართ, რატომ ბოხოქრობს ეს გამოუცნობი ეპიდემია და როგორ და რა ხერხით გვტაცებს ხელიდან ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს? დადექი და იფიქრე და იფრინე სადაც გინდა და რამდენიც გინდა. ექვე დამანაშავე, ის არ არის ერთი. და ვერც ვერსად იპოვო მას, რადგანაც ის, უკვე კარგა ხანია, სიკვდილის ფრთებით დაფრინავს, ვერ მივწვდით, ვერ მოვიხელთეთ. რას მივწვდებით, როდესაც თავად ჩვენ შევუწყვეთ ხელი მის თანვებობას, ჩვენივე უვიცობით დავწვდით და გავაღვივეთ ეს ცბიერი და მავნე ეპიდემია.

სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენვე ვართ ამ უბედურების მიზეზი, ჩვენვე შევუქმენით საფრთხე ჩვენივე სიცოცხლეს და უგულვებელვყავით იგი. კარგი, კეთილმონწყობილი ცხოვრება გვინდა და სიცოცხლის სანაღმარადვე გვიკვირებოდა. უფრო მეტიც, პირდაპირ ვებრძვით ამ სურნელისგან, ენით შეუფასებელი, ღვთის ნაბოძებ ყვავილს — სიცოცხლეს ქვეყნად და ვერ ვაცნობიერებთ, რა ბოროტებას ჩავდებოვართ!!!

აქვს და, ეს მინა უტყვიანო, უენო, ყველაფრის ამტანიო, რაც გინდა, მიყარე, თუნდაც ქვალორი, აშენე პირამიდეები, სართულიანი ცათამწვედენები, თხარე და აღმოაჩინე უნიკალური საბადოები და მერე, ბუნებისავე სანაღმარადვე გამოიყენე. აადუღე, დაწვი, ააორთქლე. შეურიე ჟანგბადს და... რა ვიცი. სოფლებს ჩაანაცვლე გიგანტური ჰესები... გამოიგონე ხელოვნური ზღვა, ხელოვნური მზე და მთვარე, ხელოვნური სუნგბადი... ასე გავაგრძელოთ? და მერე, რას მივიღებთ იმაზე უარესს, რაც უკვე აშკარაა და გვაქვს — მესამე მსოფლიო ომი, ოლონდ უხილავ მტერთან. ომი, რომლის შემთხვევაში არ გვეჭირდება ის ფანტასტიკური საომარი იარაღები, რითაც ერთმანეთს აკვირებენ (თანაც აშინებენ!) ზესახელმწიფოები. მართლაც, რა არ გამოიგონეს „თავმომწონე“ სახელმწიფოებმა ერთმანეთის გასანადგურებლად. ატომიო, მზის სხივის სიჩქარით მფრინავი ყუმბარმტყორცნები თუ მიზანმიმართულებებით დაპროექტებული ზარბაზნებიო, და რა ვიცი, რა არა, ვის შეუძლია იმ გასაიდუმლოებული სამხედრო ტექნიკის სახელწოდებების ჩამოთვლა, ახლა რომ დაბანდებული აქვთ სამხედრო ველებზე, სანყოფნაში, ქარხნებში და ვინ იცის, კიდევ სად! ომი გსურთ და ერთმანეთის განადგურება, — მაშინ მე განახებთ, როგორ უნდა ომობანას თამაშიო!.. და აი, მოგვიწყო ომით „თამაში“ ბუნებამ. ნუ შეინუხებთ თავს სამხედრო ტექნიკით და ნურც ცოცხალი ძალებითო (სანყალი სამხედროები!). ბევრი რომ არ გავაგრძელო, 2020 წლიდან გალაქტიკაზე შემოჭრილმა ეპიდემიამ მილიონობით ადამიანის სი-

ცოცხლე შეინირა და დღესაც აგრძელებს მზაკვრულ, დაუნდობელ ომს. მაგრამ, ნუთუ ბუნებამ შვა და შემოგვიგზავნა ეს უჩინარი მტერი? არაო, ამბობენ სწავლული დამკვირვებლები. თავად ჩვენ ადამიანებმაო... და ყოველივე ეს მოჰყვა ადამიანთა უსასრულო ლტოლვას ძალაუფლებისკენ, მსოფლიო ბატონობისკენო. გრძელდება დღესაც იგივე. ფაშისტებისა და კომუნისტების ეპოქა შეცვალა სულ სხვაგვარად შეფრადებული ბუნება დრომ. არადა, უამრავი „იგივენი“, ადამიანები, დემოკრატიის საფარქვეშ კარგად მოკალათებული ქვეყნები, უძლველი იმპერიის სახელის მოპოვებით ალტყინებული თავის წინაპრების მიზნებსა და გზებს არ ღალატობენ და კვლავაც ჩნდება სისხლიანი კერები ხან სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით, ხან სად და ხან სად.

და ის საშიშროება, რომელიც კორონავირუსის სახით მოგვეცვლინა კაცობრიობას ოცდამეერთე საუკუნეში, თითქოს არც არსებობს და ახლა ვითომ (თუ მართლა, ვინ იცის!) უკრაინას უნდა დაესხნენ თავსო, აიქოჩრა მსოფლიო. ალიაქოთს ჰქმნიან, არიქა მგელი თუ დათვი (ანუ რუსეთი) მოიქცა და იცით, რა დღეში ვართ? დაგვზაფრა საშინელების მოლოდინმა. ტყვიები გვინდა ახლა ჩვენ? განჩნდა საშინელი, მაგრამ არცთუ უცხო ეჭვები: ან რაილადა სამხედრო ტექნიკის სანყოფნით გადაჭყდილი სამყარო, განიხარეს ამ ტექნიკის მეპატრონეებმა, მოგების და დოლარების სუნი იყნოსესო... იციან, ომი რამხელა მოგებაა მათთვის. სხვისი ჭირი რა ენადღებოთ! (არ არის უყურადღებოდ დასატოვებელი ეჭვები!), მაგრამ პოლიტიკოსებს რა უნდათ ნეტაც, ამ მსუნაგებს რომ აყვინენ? რუსეთი მოდისო. კარგა ხანია, რუსეთი უკრაინის მიწებს ფლობს...

ვითომ ახლა უკრაინის ტერიტორიის დაპყრობა უნდა? კი ბატონო, ვიცით რუსეთის მადა, მაგრამ მათაც იციან ახლა რომ სხვა დროა. ერთი სიტყვით, რა უნდა რუსეთს და რა უნდა ამერიკას, მთლად თუ არა, დაახლოებით მაინც სვდებიან მსოფლიოს მოაზროვნენი... მაგრამ თითქოს რაღაცას უფრთხიან, გარკვეულად და მტკიცედ ვერ თუ არ ამბობენ, რა ხდება. არა ნაკლები სიფრთხილე მართებს საქართველოსაც, უკრაინა ისტორიულად ჩვენი მოძვე ქვეყანაა. გარდა ამისა, მისი მშვიდობიანი განვითარება და ერთიანობა, მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა ჩვენი ქვეყნის ინტერესებშიც შედის და მთავრობის ასეთი დამოკიდებულება კარგად იციან უკრაინაშიც.

მაგრამ ნეტაც რა იციან ჩვენმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ქვეყნის დიდ პოლიტიკოსებზე მტკი, ზოგიერთი მორწმუნისა არ იყოს, რომის პაპზე უფრო მეტ კათოლიკობას რომ



ინებენ? დავირაზმით, აყვით დიდ ქვეყნებს და საქიროთა თუ არა, დაუფიქრებლად გავგზავნოთ კოლონები უკრაინის დასაცავად?..

არა და არა!
ბუნდარა
სტუბა



მშვიდობის პარტია მუდამ აჯობებს ომის პარტიას!

ბენ იმისთვის, რომ იყოს ომის პროპაგანდა, ვითარებარაც შეიძლება დაიძაბოს, — ამის შესახებ მამუკა მდინარაძემ ზუგდიდში პარტიის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის ტექსტში ყველაფერი ისე წერია, როგორც მოცემულ მომენტშია საჭირო.

„აქედან გამოსული პოლიტიკური პარტია კრიტიკას ვერ უნდა ბედავდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ

მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს, მხარს ვუჭერთ მშვიდობას რეგიონში და მოვუწოდებთ ჩვენს პარტნიორებს, რომ ომის არდაშვებისთვის ყველაფერი გააკეთოს ყველამ, მათ შორის ამაში თავისი წვლილი შეიტანოს ქართულმა სახელმწიფომაც. ოკუპაციას ოკუპაცია ეწოდება და ჩვენ ამას არასდროს მოვრიდებოდეთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერია ჩანერილი ისე, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია საჭირო. მოცემული შემთხვევა ესება კონკრეტულ საკითხს და ამ კონკრეტულ საკითხთან და-

კავშირებით რეზოლუციაში ყველაფერი წერია, რაც უნდა ეწეროს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს, ეს არის სხვა საკითხი და ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური დღის წესრიგი, ყოველდღიური საზრუნავია. ამაზე აქცენტის გადატანა ხდება იმ ხალხის მიერ, რომელსაც ყველანაირად ვითარების ესკალაცია უნდა, „ნაცმოდრობას“ თავისუფლად შეგვიძლია ომის პარტია დავარქვათ იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა ვერ უზრუნველყვეს ომის თავი-

დან აცილება! შემდეგ მათი რეზოლუციებიც კარგად გვახსოვს, სადაც საქართველოს და ქართველ სამხედროებს დააბრალეს ომის დაწყება. 10 წელი მალავდნენ ამ ამბავს და ახლა აქეთ ატრიალდებიან თემას. ჩვენი პოლიტიკა გამომდინარეობს ომის არდაშვებიდან და ეროვნული ინტერესებიდან, რაც ყველაზე მთავარია, — განაცხადა მდინარაძემ.

საპარლამენტო პარტიებმა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის ტექსტზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, რის გამოც რეზოლუციის პროექტს საპარლამენტო უმრავლესობა დამოუკიდებლად დაარეგისტრირებს. თავის მხრივ, უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის საკუთარი პროექტი „ევროპელმა სოციალისტებმა“ წარადგინეს.

ფრთხილად! როტშვილდი მოდის!!!



„საბარტყილოში როტშვილდის შემოსვლა, „ხბოს ალტაცებას“ არა, მაგრამ, ფრთხილ ოპტიმიზმს უდავოდ იმსახურებს; რასაკვირველია, ეს ფაქტი ჩვენს მხატვ. ქვეყნს უჭირავს კატეგორიის“ ეკონომიკას აუცილებლად დაეხმარება, რომ მეტი წონა შეიძინოს, ხოლო თუ ამბიციურ გეგმას — საქართველო გახდეს საინვესტიციო-ფინანსური ჰაბი რეგიონში, გავითვალისწინებთ, მაშინ წონით კატეგორიაში დაწინაურების იმედიც და ასევე, მეტი პასუხისმგებლობაც, უნდა გვექონდეს; პასუხისმგებლობა იმედზე უმნიშვნელოვანესია, რადგან წონითი კატეგორიის შეცვლა თავისთავად არ ნიშნავს შეჯიბრში წარმატების გარანტიას, რადგან ახალი კონკურენტები და მეტოქეებიც არა მხატვ. არამედ, სულ ცოტა — იგივე კატეგორიისანი გვეყოლება. თანაც: როტშვილდი ისეთი გიგანტია, რომლისთვისაც საქართველოს ეკონომიკა ერთი პანანა ჩიტიც კი არაა, ბდღვანად რომ ღირდეს, მაგრამ მეორე მხრივ, რეგიონული და გლობალური მიზნებისთვის მართლაც კარგი პლაცდარმაია; უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო და ასევე, იმიტომაც, რომ ბიზნესის თამაშის წესები გარშემო არასად ისეთი ლიბერალური არ არის, როგორც აქ, ამ ქვეყანაში; საკანონმდებლო რეგულაციების სიმსუბუქე და სიმარტივე როტშვილდს ისეთი სილალის საშუალებას მისცემს, რაც გარშემო ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ექნება. ერთი მხრივ, ეს უპირატესობაა, მაგრამ ამავდროულად, რისკიც: ფსონი იზრდება და ქვეყანა, მთელი თავისი ეკონომიკური აქტივებით, უწინარეს ყოვლისა, წარმოების ძირითადი საშუალებებით, მათ შორის უმთავრესი საუნჯით მიწით, რაც არა მხოლოდ ეკონომიკური კატეგორიაა, არამედ ჩვენი რაობისა და ვინაობის დამდგენი ღირებულება — ქართველთა სამკვიდრო, გაცილებით დიდ თამაშში ერთვება.

თუმცა თავისი რისკების ყოველმხრივ წინასწარ დაზღვევას, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოგვთხოვს. რა არის საუკეთესო დაზღვევა ამ შემთხვევაში ჩვენი რისკებისა? ეს საფიქრელია და აქ აუცილებელია, ქართულმა ეკონომიკურმა აზრმა ინტენსიურად უნდა იმოქმედოს. რაიმე მსგავსი, რაც მაგ. ნამახვან-შესის შემთხვევით დაგვემართა, აღარ უნდა განმეორდეს. როტშვილდის შემოსვლა მსგავს გამოწვევად არ უნდა იქცეს, რომ ჩვენი სიმწაღის გამო, ობიექტურად ანდა თუნდაც სუბიექტურადაც კი, ასე აღიქმებოდეს: „როტშვილდს უთმავს, ბიჭი ვარ და მიყვარ-მიყვარდ მოვდივარ და ბიჭები ხართ და დამხვდითო!“

უნდა დავხედოთ და არა მხატვ. იმ სიმძიმის, რითაც მოდის, თანაზომიერად. თუმცა, ამისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არც პოლიტიკური მდგომარეობა გვაქვს და ჯერჯერობით, სწორედ ეს, ჩემი აზრით ულტრა-ლიბერალურად მხატვ. კანონმდებლობა, კერძო და ეროვნულ (ან თუნდაც სათემო) სარგებელსა და სარგებლიანობას შორის აშკარად კერძოს მხარესაა, სწორედ რომ ზედმეტად მიკერძოებულია, რაც კითხვის ნიშნებს ბევრს წარმოშობს.

აღგენს გერმანიის ლიბერალური, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული, არა მხოლოდ კერძო, არამედ საზოგადოებრივ (საერთო ეროვნულსა, ლანდი-სა თუ ადგილობრივი თემისა) სარგებელსა და სიკეთეზე მიმართული მთლიანად ეკონომიკისა თუ ნებისმიერი კონკრეტული ბიზნესის „სჯულის კანონებს“.

ჩემი აზრით, ჩვენი, ქართველთა ტრადიციული ევროპელობა სწორედ ეს არის: საკუთრების მიმართ ანალიზური დამოკიდებულება! იგივე საკუთრების ხელშეუვალობა, თუმცა მისი იგივე დამავალდებულებელი ბუნებაც, რაც ქართული სჯულისათვის უმთავრესი, პრიორიტეტული იყო! ყოველი მესაკუთრე, ხოლო, რაც უფრო დიდი იყო მისი საკუთრება, მით უფრო მეტად იყო ვალდებული, როგორც პატრონი, თავადაც ისე გარჯილიყო და შვილებიც ასე აღეზარდა, რომ რაც ღმერთმა მემკვიდრეობად არ გუფნა, ღირსეულად ეპატრონა, დაეცვა, შეენახა, გაემრავლებინა და რაც მთავარია, სიკეთით გამოეყენებინა, მშვიდობაში მოეხმარა! სიკეთით გამოყენება და მშვიდობაში მოხმარება კი მართკ ვერძო სარგებლის მიღება არ არის და ვერც იქნება! საკუთრება იმთავითვე ავალდებულებს! ეს არა მხოლოდ უფლებაა, არამედ ვალდებულება და პასუხისმგებლობა ერისა თუ თემის, წინაშე. ეს ფუნდამენტური პრინციპი აუცილებლად უნდა აისახოს ჩვენს კანონმდებლობაში. სასურველია — კონსტიტუციაშიც. აი მაშინ, შეგვეძლება თქმა, რომ მტერსაც და მოყვარულსაც, თვით ზეგინანტ როტშვილდსაც (იმედია, მოყვარედ მოდის!) კი, არა მხარდებოდა, არამედ დინჯად და ღირსეულად, დავხვდებით“.



დავით ხარდიაშვილი

მუხეზოვსა და ბასაძეს ნაპროექტი ნელ-ნელა იზრდება

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2021 წელს გაცემულია 10 095 ნებართვა (წინა წელთან შედარებით, 5.6%-ით მეტი) 7 434.5 ათასი კვმ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წელთან შედარებით, 42.8%-ით მეტი). ნებართვების 74.4% მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48.8% თბილისზე, 9.2% — მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 8.5% — ქვემო ქართლის რეგიონზე და 7.9% — იმერეთის რეგიონზე. 2021 წელს ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 29.5% — თბილისზე, 12.3% — კახეთის რეგიონზე, 11.7% — მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, ხოლო 9.5% — ქვემო ქართლის რეგიონზე. სულ, 2021 წელს ექსპლუატაციაში მიღებულია 1 759.8 ათასი კვმ ფართობის (წინა წელთან შედარებით 3.9 პროცენტით მეტი) 2 347 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 10%-ით მეტი).

ბათუმში ინფრასტრუქტურის აღდგენა დაიწყო



ბათუმში, უზვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა დაიწყო. სამუშაოები, ერთობლივად, რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს. ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის თქმით, მიმდინარეობს ქვაფენილიანი ქუჩების რეაბილიტაცია და საავტომობილო გზების შეკეთება. პარალელურად, სრულდება გარე განათების სისტემის აღდგენა სამუშაო. ხორციელდება სანიაღვრე არხების წმენდა და მოწესრიგება. არჩილ ჩიქოვანის განმარტებით აღნიშნული სამუშაოები წლის განმავლობაში მუდმივად განხორციელდება, რისთვისაც 2 მილიონი ლარია გამოყოფილი. ბოდიშს ვუსვამთ ჩვენს თანაქალაქელებს, ვისაც ამ დღეებში გადაადგილებისას შეფერხებები შეექმნა. უახლოეს პერიოდში დავასრულებთ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

რა პრობლემებს შეუქმნის რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკას?

ბოლო რამდენიმე კვირაა უკრაინასა და რუსეთს შორის ომი სულ უფრო რეალური ხდება. რა გავლენა ექნება ორ სახელმწიფოს შორის დაძაბული ვითარების სამხედრო კონფლიქტში გადაზრდას საქართველოს ეკონომიკაზე? ორივე ქვეყანა ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია და არსებული დაპირისპირება სავაჭრო ურთიერთობებს ორივე მიმართულებით გაართულებს.



„თბილისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტი ოთარ ნადარაიას შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან რისკს შეიცავს საქართველოს ეკონომიკისთვის არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რუსეთთან მიმართებითაც. ორივე ქვეყნიდან სავალუტო შემოდინებების წილი წლიურად, დაახლოებით, 20%-ს აღწევს და ამაში იგულისხმება სხვადასხვა კომპონენტი – ტურიზმი, ექსპორტი, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

„თუ სიტუაცია გამწვავდება, რაც გამოიხატება საომარ კონფლიქტში, რომლის მასშტაბს, ცხადია, ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რა მასშტაბის იქნება, რამდენ ხანს გაგრძელდება და რა სიშტაბის ეკონომიკური სანქცია იქნება დაწესებული რუსეთის მიმართ. ამ სცენარით, ბუნებრივია, შეგვიმცირდება ის შემოსავლები, რაც ამ ორი ქვეყნიდან გვაქვს. განსაკუთრებით უკრაინიდან იქნება შემცირება. მთლიანი სავალუტო შემოსავლების, დაახლოებით, 8% მოდის უკრაინაზე, ხოლო დაახლოებით, 14% – რუსეთზე.

რა თქმა უნდა, ეს სრულად არ შემცირდება. სტრუქტურული სცენარით განხილვის შემთხვევაში, რუსეთიდან, დაახლოებით, 10%-ის ფარგლებში უნდა იყოს შემცირება, ხოლო უკრაინიდან – 30%, თუმცა აქაც იმ პროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში, რომლებზე მოთხოვნაც უფრო სენსიტიურია, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელები. ამასთან, დიდია სასაქონლო პროდუქტების წილი, რისი სხვა ბაზრებზე გადაამისამართება შედარებით მარტივია.



არსებული სტატუს-კვოს პირობებში ლარზე რამე მნიშვნელოვანი წნეხი არ იკვეთება, თუმცა თუ საომარი მდგომარეობა იქნება, ამას ჩვენზე გავლენა ექნება, თუმცა მაინც შედარებით მარტვადი. არსებული სტრუქტურული სცენარით, რასაც ჩვენ ვიყენებთ, მოსალოდნელია წმინდა სავალუტო შემოსავლების, დაახლოებით, 240 მილიონი აშშ დოლარით შემცირება იმ დონესთან შედარებით, რაც ომის სცენარის გარეშე 2022 წლისთვის გვექონდა, როგორც საპროგნოზო მაჩვენებელი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხებია, თუმცა მაინც არა იმ მასშტაბის, რომ მსგავსი ამ უარყოფითი ზეგავლენის დაბალანსება ვერ მოხერხდეს“.

უკრაინას და რუსეთს საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია და არსებული დაპირისპირება სავაჭრო ურთიერთობებს ორივე მიმართულებით გაართულებს. შეიძლება, ქართული პროდუქციის ექსპორტიც საფრთხეში აღმოჩნდეს, რაც ბოლო დროის განმავლობაში ეკონომიკის ერთ-ერთ წარმატებულ მიმართულებად ითვლება საქართველოში. სწორედ ამაზე მიუთითებს ეკონომისტი ვახტანგ ხომიზურაშვილი.

„დღეს უკრაინა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკის მაღალი ზონაა და შესაბამისად, ბიზნეს-სტრუქტურები თავისთავად იმყოფებიან ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სავაჭრო კონტრაქტების პირობების შესრულებაზე. აქედან გამომდინარე, ეს ბუნებრივად ნეგატიურ შედეგს მოიტანს არა მხოლოდ დაპირისპირებული ქვეყნებისთვის, არამედ მათთვისაც, რომლებთანაც რუსეთსა და უკრაინას მჭიდრო სავაჭრო კავშირი აქვთ, მათ შორის, საქართველოსთვისაც. გარკვეული პერიოდით როგორც ექსპორტი, ასევე საინვესტიციო პროექტები გაჩერდება დაძაბული სიტუაციის გამო.“

არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, სხვა სახელმწიფოებიც დაზარალდებიან. ექსპორტსა და ინვესტიციებზე უკვე მოგახსენეთ და რაც შეეხება ფასებს, სერიოზულ ცვლილებას ამ მიმართულებით არ ველოდებით, თუმცა ეს ყველაფერი მაინც დროის მომენტიანია. ყველა მოლოდინის რეჟიმშია და აქედან გამომდინარე, ცვლილებებს უნდა ველოდეთ. დავაკვირდეთ, როგორ შეიძლება წარმართოს პროცესები, უაღრესად დაძაბული ვითარებაა“, – აღნიშნა ხომიზურაშვილმა.

იკა ბაძრაძე



ჩვენ ვახერხებთ იმას, რომ ეს პრობლემა სამუდამოდ მოვაგვართოთ და ერთხელ და სამუდამოდ, არც ერთი უსახლკარო თბილისელი არ გვყავდეს, – ამის შესახებ

არც ერთი უსახლკარო თბილისელი არ გვყავდეს!

სებ თბილისის მერმა კახა კალაძემ „იმედის კვირას“ განუცხადა.


„დავინწყეთ მუშაობა იმაზე, რომ მოდი ჩვენ ვიყოთ ის ადამიანები, ვინც ამ ოჯახებს, ამ ადამიანებს ამ პრობლემას მოუგვარებს. მათ ჰყავთ შვილები, შვილიშვილები და ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ეს ადამიანები. მუშაობის შედეგად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, გავაკეთეთ ანალიზი, მოვიფიქრეთ კონკრეტული სქემა – რა უნდა გავ-

კეთდეს და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა. დავინწყეთ საბინაო ფონდის შექმნა. ჩემი დაპირება იყო, რომ ოთხსაივო ოჯახი ამ ოთხი წლის მანძილზე იქნება დაკმაყოფილებული. პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება. მომდევნო თვიდან დაახლოებით 15-16 ოჯახს მიეცემა მუნიციპალური საცხოვრისი, სადაც ისინი ჩვეულებრივად იცხოვრებენ. ექნებათ თავიანთი ქვრივი, თავიანთი სახლი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

უსაფრთხოების წესების დარღვევა, თითქმის ტრაგიკული მიგვიყვანა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ტყიბულის უსაფრთხოების შემოწმების მიზნით დააკვირებინა ბანცხადასას აპრცეპტებს.

ღვევით. აფეთქების დროს ჰაერში მეთანის კონცენტრაცია აჭარბებდა დასაშვებ ნორმას. არსებული რეგულაციის მიხედვით, აკრძალულია ბურღვა და საამფეთქებლო სამუშაოების განხორციელება მეთანის 1%-ზე მეტი კონცენტრაციის პირობებში.



„შრომის ინსპექციის სამსახურმა ტყიბულის შახტში მომხდარი ინციდენტის მოკვლევა უკვე დაიწყო. ფაქტზე, მოხდა მყისიერი რეაგირება და ინსპექტორთა ჯგუფი მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე მუშაობდა. მიმდინარეობს საკითხის კომპლექსური შესწავლა, რაც მხარეთა გამოკითხვასა და ადგილის სრულყოფილ დათვალიერებას გულისხმობს. პირველადი მოკვლევის შედეგად, გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა. ეკრძოდ, პირველადი შეფასებით, საამფეთქებლო სამუშაოები მიმდინარეობდა უსაფრთხოების წესების დარ-

დარღვეულია ტექნიკური რეგლამენტის მთელი პუნქტიც, რომლის მიხედვითაც საამფეთქებლო სამუშაოები ტექნიკური ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. ინციდენტის დროს აღნიშნული პირი ადგილზე არ იმყოფებოდა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

გამოკვეთილი დარღვევების შედეგად შრომის ინსპექციამ გადაწყვიტა, შეჩერდეს საამფეთქებლო სამუშაოები და დაიხუროს ის კონკრეტული უბანი, სადაც ინციდენტი მოხდა.

„ნაცები“ ტყეზე ისე გულამოსკენით ტირიან, თითქოს 2007 წლიდან, ვიდრე ბოლო ამოსუნთქვამდე, თვითონ არ გადასცეს ჩინურ და ბელგიურ ფირმებს 220 ათასი ჰექტარი ტყე სამრეწველო ტყისთვის. მოსავლელად და რეკრეაციული მიზნით კი არა, სამრეწველო ტყისთვის და ეს ტყეები (სამეგრელოში, თიანეთში, ახმეტაში, ყვარელში), დღეისთვის სრულად დეგრადირებულია“, – წერს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ბიძინა ბიორაშვილი.



როგორც ის აღნიშნავს, ასევე დეგრადირებულია აჭარის ტყეები, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პარლამენტარი იაშა შერვაშიძე და თურქი მენარმეები ტყიდნენ ხეებს.

„სწორედ „ნაცი“ მოხელეები (ყოფილი სატყეო სამსახურის უფროსი) ხდებოდნენ ლიცენზირებული ჩინური ფირმის დირექტორები, ლიცენზიის გაცემიდან ერთი კვირის შემდგომ. სამრეწველო ტყისთვის გადაცემული ტყეებიდან, სამასალე მორი მიდის ქუთაისის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, სადაც 2007 წელს „ხეტყის“ დამზადების 20-წლიანი ლიცენზიით ჩინელი და მათ სახელს ამოფარებული „ნაცი“ მენარმეები ამუშავებენ. ქუთაისსა და სამეგრელოს სოფელ ლიაში ფუნქციონირებს მორის გადამამუშავებელი ორი ჩინური ქარხანა. ქუთაისში „ჰუალინგ ჯგუფს“ აქვს ავეჯის საწარმო, მაგრამ ქართულ ბაზარზე მათი ნაწარმი საერთოდ არ იყიდება. ის პირწმინდად ექსპორტზე გადის. ასევე ეს ამბები, მეგობრებო და თუ

ბიძინა ბიორაშვილი: 2007 წლიდან, ვიდრე ბოლო ამოსუნთქვამდე, „ნაცებმა“ ჩინურ და ბელგიურ ფირმებს 220.000 ჰა ტყე გაღასცეს სამრეწველო ტყისთვის!

ქართველმა ნახევარი ჰექტარი ტყის ნაწილი აუქციონზე, სარეკრეაციო მიზნით და ყველა კანონის დაცვით იქირავა, მხოლოდ მოწონებას იმსახურებს პირადად ჩემგან. მეტსაც ვიტყვი – „ნაცები“ და მათი ლიბერტალიანელი გურუ, კახა ბენდუქიძე, საერთოდ, აუქციონის წესით აპირებდნენ ტყეების გაყიდვას და ძნელი მისახვედრი არ იყო, ვის ხელში აღმოჩნდებოდა იგი. იგივე ეხება კავკასიური სოჭის თესლის ლიცენზიას, მიწების მასიურ გაყიდვას უცხოელებზე და კიდევ უამრავ

საკითხს, რომელსაც ნაცებარტია დღეს სხვას უკითხნენ. დაპაპარტში: ვიდრე ვინმე არანორმალურს ჩვენი ტყეების უცხოელ „ინვესტორებზე“ გადაცემა მოუფა იდეად, სჯობს, მის განსახელმწიფოებრიობაზე ვიფიქროთ. არსებობს აღმოსავლეთ ევროპაში აპრობირებული რამდენიმე მეთოდი, რომლითაც შეიძლება, ტყეებს ქართველი მენარმეები გამოუჩინდეს, შემდგომი გაყიდვის აკრძალვის დათქმით და ტყისსარგებლობის წესების სრული დაცვის პირობებში“...

January იანვარი
Saturday, Sunday შაბათს და კვირას
29th, 30th 2022 29/30-2022
Open: 14:00 გახსნა: 14:00

ART ROOM

ART EXHIBITION

არტ ოთახის
მხატვართა
გამოფენა

ხელმძღვანელი: თამარ ლიტა ჯუღელი

ART OTAKHI არტ ოთახი

მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი "მუზა"


თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი მერაბ ბერძენიშვილის ქ. N1 (კუსტობის ასახვევი).

მოღვაწე, გამოჩენილი პიროვნება, მაგრამ ვარკვეულ მიზეზთა გამო, რომელთა შორის უპირველესი, ისევ და ისევ კოვიდპანდემიაა, მათ ამის გაკეთება ვერ შეძლეს, ამდენად, მე პატივი მაქვს რჩეულ ქართველ ხელოვანთა სახელითაც მოგესალმოთ!

აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ სტუდია „არტ ოთახის“ მოსწავლეთა ნამუშევრების კიდევ ერთი გამოფენა გვინდა კულტურის ფონდის საგამოფენო სივრცეში მოვაწყოთ, თუმცა ეს უახლოეს მომავალში დაზუსტდება. ამ გამოფენის მოწყობისთვის კი გულწრფელი მადლობა თითოეულ მონაწილეს, მათ შორის თამარ ლიტა ჯუღელს და მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებს.

გამოფენის დასრულების შემდეგ კი თითოეული მონაწილე მიიღებს ნამუშევართა ფოტოალბომს, ასევე საქართველოს კულტურის ფონდის სივრცით დაჯილდოვდება, რომელიც, იმედია, ხელოვნებაში მისი ცხოვრების ერთგვარი გზის მანათობელი ვარსკვლავივით იქნება!..

იმასაც გეტყვით, რომ კულტურის ცენტრი „მუზა“ დიდ მხატვართა და შემოქმედთა საგანგებოდ გამოფენების მოსაწყობად შეიქმნა, ამდენად, ვფიქრობთ, დიდი პატივია, რომ ახალგაზრდა მხატვართა პირველი ჯგუფური გამოფენა სწორედ ამ ღირსშესანიშნავ ადგილას იმართება...



აგროკულტურა, მებავსაფრე ნიგნი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ავტორთა ჯგუფმა მოამზადა და გამოსცა ნაშრომი (მონოგრაფია) „საქართველოს აგრარული კულტურა“. ნიგნი მკითხველთა ფართო ფენებისთვისაა განკუთვნილი და განსაკუთრებით გამოირჩეულია იმით, რომ მასში გადმოცემულია ქართული მარცვლოვანი კულტურისა და პურის მომზადებაზე მეტად საგულისწყო და სრულყოფილი მასალა, საქართველოს სხვადასხვა მხარეებში არსებული ტრადიცია, ეთნოგრაფიის, ბოტანიკის, არქეოლოგიის, ლინგვისტიკისა და ისტორიის შესახებ.

დღეს ისე, როგორც არასოდეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და სოფლის მოყვანის საკითხები. მომზადებული ნაშრომი ადასტურებს ქვეყნის პოტენციალს და ხორბლის მოსავლიანობის გაზრდის საჭიროებას. ნაშრომი იკითხება ძალიან საინტერესოდ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ ავტორებს: თინათინ საღუნიშვილს, ინეზა მაისაიას, ქეთევან ბაგაძეს, შალვა სიხარულიძეს, თამაზ დარჩიძეს.

მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ბატონ რამაზ ხუროძეს, ვინც მომცა საშუალება, ამ შესანიშნავ და მეტად საინტერესო ნიგნს გავცნობოდი.

გალსაზ დოლიძე,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, გექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„მუზის“ მანათობელი ვარსკვლავი

ერთობ უჩვეულო იყო 29 იანვარს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზის“ საგამოფენო სივრცეში გამართული ვერნისაჟის დამთავალიერებელთა ცენზი: მათ ამსოლუტურ უმრავლესობას 11-დან 25 წლამდე ახალგაზრდები შეადგენდნენ, რომელთა უმეტესობა... თავადვე იყო იმ არაჩვეულებრივი სანახაობის შემოქმედი...

„არტ ოთახის“ მხატვართა გამოფენა – ესაა „მუზაში“ საქართველოს კულტურის ფონდის ხელშეწყობით მოწყობილი ვერნისაჟის ოფიციალური დასახელება. აქვე გამოფენისადმი მიძღვნილი ფოტოალბომის სათაო ფურცელზე აღნიშნულია: „საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტის გადაწყვეტილებების თანახმად, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში 2022 წლის 29-30 იანვარს ტარდება სტუდია „არტ ოთახის“ ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა. ხელმძღვანელი – პედაგოგი თამარ ლიტა ჯუღელი“.

ჩვენი სტუდია „არტ ოთახი“ დამოუკიდებელი სახელოსნოა, სადაც ყველა ასაკის ახალგაზრდას ვღებულობთ, ვისაც ხატვის სურვილი აქვს – მიუხედავად იმისა, მეცადინეობის დაწყების მომენტისთვის მას ხელეწიფება თუ არა ხატვა – ექსკლუზიურ ინტერვიუში მეუბნება სტუდიის ხელმძღვანელი, თამარ ლიტა ჯუღელი. – მიხარია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრის ავტორთა შორის არაერთია ისეთი, ვინც ხატვა ჩვენს სტუდიაში ისწავლა. ეს ჩვენთვის დიდად საამაყოა!

გამოფენაზე მთლიანად გამოტანილი იყო 27 ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ, რაც მათ სულიერ ძიებათა ერთგვარ ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ. მეტად მეტყველი, თუმცა ჯერ კიდევ მოწაფის სინელით დაღდასმული ნამუშევრებს შორის იყო ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები, აბსტრაქციები, მისტიციზმით შეზავებული ნახატები...


მოგესალმებით დიდი სიყვარულით, მივესალმები თქვენს ცხოვრებაში პირველ სამხატვრო გამოენას, რომელშიც მონაწილეობას იღებთ, ჩემო პატარა მეგობრებო! – ამ გულთბილი და თავაზიანი სიტყვებით გახსნა ვერნისაჟი საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა თამაზ შილიკაძემ. – თითოეული ჩვენთაგანისთვის ამ ფრიად ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ მოწვეული გვყავდა სამამულო ხელოვნების არაერთი მეტად პატივსაცემი

ჩვენი გაზრდის რედაქცია გულითადად უერთდება კულტურის ფონდის პრეზიდენტის ამ სიძვირის და ახალგაზრდა მხატვრებს შემოქმედებით წარმატებას უსურვებს.

მკითხველს კი გვინდა გამოფენაში მონაწილე ახალგაზრდა შემოქმედთა სახელები სიამოვნებით გავაცნოთ. იმედია, ისინი ქართული სახვითი ხელოვნების ხვალისდელი დღე და ჯანსაღი მომავალია! ესენი არიან: ანი და ლუკა მეღვირეთუხუცესები, ანი სინაძე, გიორგი ოქროპირიძე, ეთერია მილანა, თაკო მუთხაშვილი, თაკო პაჭკორია, ლიტა თამარ ჯუღელი, ლიკა ალაპიშვილი, მარიამ კვლევანიძე, მარიამ ჩხეტუნიძე, მეგი ჯოყუა, მილენა მკერტიანი, ნიკა ტეზნაძე, ნინო ბაძაღუა, ქეთა ქარსელაძე, ანი ვაპანოვა, მარიამ ელოშვილი, თაკა თაკანაძე, ლიზი მულაძე, მარიამ სულამანიძე, მირანდა წიქარიშვილი, ნიკა ნახუცრიშვილი, შალვა მამისაშვილი, ნუსა მშვევაშვილი და ქრისტი ნაჭყებია.

გამოფენის მოწყობისა და ნამუშევართა ფოტოალბომის გამოცემა საქართველოს კულტურის ფონდის ხარჯით განხორციელდა.

ოთარ ტურაბალიძე



ქურნალის ახალი ნომერი მსოფლიო პოეტის იუბილუს პედაგოგს

გამოვიდა ქურნალ „ოლეს“ 2021 წლის VI ნომერი, რომელიც მთლიანად ეძღვნება პოეტ ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაული) დაბადების 85 წლისთავს.

იუბილარს მიესალმებიან: საქართველოს მწერალთა კავშირი, ირაკლი შიოშვილი, ლევან ანდრიაშვილი, თენგივ მთვარელიშვილი, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“, რევაზ მიშველაძე, მაცყალა გონაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ზაად ბოტკოველი, თემურაზ ლანჩავა, დავით თედორაძე, ავთანდილ ბერიძე, დავით ახლოური, მაცყალა მიქელაძე, ბელა ქებურია, გიორგი ნატროშვილი.

ქურნალში დაბეჭდილია თინათინ თელაველის, ნუნუ ძამუკაშვილის, მურთაზ ნაკუდაშვილის, აკაკი ბიძინაშვილის, გიული ჩიხიაშვილის, გიორგი ბერძენიშვილის, ზურაბ მარკოზაშვილის და ანა მანოშვილის ფარნა რაინასადმი მიძღვნილი ლექსები.

ნომერში გამოქვეყნებულია ფარნა რაინას სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და კატრენები. ქურნალში „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე თენგივ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

გულწრფელი მადლობა მათ „ოლეს“ აღორძინებისთვის! მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ დიდებულ პოეტსა და ფუტკარივით მშრომელ, მსოფლიო მოღვაწეს ფარნაოზ რაინაულს! საუკუნეც კარზეა, გაუძღვალ ბერძენებს!!!

კახი ნადიკვიციანი

რას წარმოვიდგენდით, თუ ქართველი ავტორი შეიძლება, მოხსენიებულიყო ჯერომ ჯერომის, სომერსეტ მოემის, ერნესტ ჰემინგუეისა და სხვა მწერალთა გვერდით. არადა, ავტორთა უფალი ენციკლოპედია სათაურით: „პირველ მსოფლიო ომში სავსე ლაზარეთის ორგანიზატორთა ნუსხა“ გამოაქვეყნებდა ჩამონათვალს, რომელშიც ომის მონაწილე სახელოვანი ადამიანები პროფესიული ნიშნით გაერთიანდებოდნენ და მათ შორის გამოჩნდებოდა ქართული გვარ-სახელიც.

– მეერი ამერიკელი მწერალი მოგვიანებით დაკარგულ თაობასთან გაიგივდა, – დასძენდა სტატიის ავტორი და ასეთი განწყობით გაეცნობდა მკითხველს პიროვნულ და მწერლურ ღირსებას... კატი დადემქელიანისა, დასავლეთში ერთი ყველაზე პოპულარული ავტორისა, რომლის შემუშავებაც – უფრო ნიშანდობლივი განსაზღვრით კი ავტობიოგრაფიულ რომანს – „თავადის ქალი მუნდირში“ ახლავდა უნდა შემოეღწია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“, 2021).

ინგლისურიდან უნდა გადმოეღო და ვრცელი ნარკვევიც – „მამაცი და გონიერი, უიღბლო და მშვენიერი კატი“ – დაერთო ქეთევან ტომარაძის და ჩვენამდე მოეტანა მღელვარებითა და დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალი პიროვნული მსოფლიო ომის დროის დასავლეთის წინა ხაზზე „ველურ დივიზიაში“ მებრძოლი, მამაკაცის მუნდირში გამოწყობილი მშვენიერი ქართველი ქალისა, რომელიც სწორედ იმ დროს და არა მოწყალეების დად მონაწილეობდა ომში, რომელიც თავისი უღმრთლობითა და სისხლიანობით აჭარბებდა ყველა მანამდე გადახდილ ომს მსოფლიო ისტორიაში.

კატი დადემქელიანის შემუშავებული ფრანგულად დაიწერებოდა, მაგრამ გავრცელებით გავრცელებოდა მისი ინგლისური ვერსია, მომზადებული არტურ ემტონის მიერ და დასავლელი მკითხველის თვალსაჩინო შემოტანილი ბრედლის სააგენტოსაგან, რომლის კლიენტთა შორისაც შეხვდებით ისეთ ალიანტულ მწერლებსა და მკვლევრებს, როგორებიც არიან: მედოქს ფორდი, ჯეიმზ ჯოისი, ერნესტ ჰემინგუეი, გერტრუდა სტაინი, რიჩარდ რაიტი, ანდრე მალრო თუ სხვანი.

სტილის უნივერსიტეტის არქივში, რომელიც მოიცავს 36 მილიონ ხელნაწერსა და არტეფაქტს, ინახება კატი დადემქელიანის შემუშავების ხელნაწერიც, რომლის მოპოვებამ და ტექსტის ინგლისურ თარგმანთან შედარებამ, მართლაც რომ, მრავალ საგულისხმო ნიუანსს გამოავლენს, რაც კიდევ უფრო დააინტერესებთ მკვლევრებს მის შესასწავლად როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით.

მით უმეტეს, რომ: წიგნის ერთიანი სტრუქტურა თუ ცალკეული ეპიზოდები ქეთევან ტომარაძის გაუჩნდა ეჭვს, არტურ ემტონმა კუპიურებით ხომ არ თარგმნა ქართველი ქალის შემუშავებული მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტისათვის მეტი ექსპრესიის მისანიჭებლად ან სხვა რამ მიზეზით, რაც დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია?

ამ სახით კი, რაც ხელთ გვაქვს, ამ ავტობიოგრაფიულ რომანს ასე შეაფასებდა:

მკითხველს კარგა ხანს გაჰყვება მახვილი მწერლური თვალთ დანახული და შეფასებული ეპოქის ნიშანდობლივი მოვლენები; მოიხიბლება დიდი თავშეკავებით აღწერილი ფაქტებით, თხრობისა და აზროვნების პრაგმატული მანერითა და წერის ლაკონური სტილით; შეძრავს ისტორიული კატაკლიზმების ფონზე განვითარებული, ერთიანი მონაბიურ პანოდ აკინიული დადემქელიანთა ოჯახის ტრაგედია; ცოცხლად აღმებჭდება გონებაში მძიმე, უჩვეულო გადაწყვეტილება პიროვნებისა, რომელიც მამაკაცის მუნდირში გამოეწყო და, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, არ გატყდა, სამხედრო მუნდირსა და ქალურ ღირსებას არ უდალატა და ბედისწერის დანადგულ ველზე ამყავდა თავაწეულმა, გმირული შემართებით იარაო.

ამ წიგნს სათავესოდ ცნობდნენ ქალთა ემანსიპაციისა და გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლი ჯგუფები, კატი დადემქელიანი ჯემალ დადემქელიანად რომ მონაწილეობდა გრანდიოზულ ტრაგედიაში – და ამ შემუშავების კვალობაზე რომ შეიქმნებოდა ლიტერატურული ვერსიები, ისინი სრულიად ვაცდებოდნენ ავტორისეულ ჩანაფიქრს და ინოვაციური წაკითხვითა და სუბიექტური აღქმით სუბკულტურის წიაღში გადაინაცვლებდნენ.

ამჟამად გახლდათ: ამ ახალი ვერსიების ავტორები დროს შეუწყობდნენ ფეხს და, ანდროგენული რეოლოგიისა და გენდერის თეორიით წახალისებულნი, წიგნის ბაზარზე იოლად დამკვიდრებას შეეცდებოდნენ.

ამის თაობაზე ვრცლად გვამცნობდნენ მოგონებებზე დართულ ნარკვევში, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩინდა „მუნდირში თავადის ქალის“ ღირსეულ მნიშვნელობას ჩვენი მემორალური ლიტერატურისათვის.

მართლაც რომ ღირსეულს, და იმითაც: გმირი ქალის მიერ აღწერილი, კავკასიის ხალხთა ერთიანობის განცდით აღმჭვდილი რეალური ამბები მიძვს მისცემს ჩვენი მოძმე, მონათესავე კავკასიელი ხალხების ისტორიის, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიისა და იმდროინდელი ხელის გააზრებას; დადებით მუხტს შესძენს ჩვენი ქვეყნის წარსულის კიდევ ერთი საბედისწერო პერიოდის შესწავლას, საინტერესოდ წარმოაჩენს ომში ქართველთა გმირობასა და თავდადებას.

ასეთ შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ რომანს კი სწორედ იმის გამოაქვეყნებდა ნარკვევი უნდა დართოდა, ენციკლოპედიური ყაიდისა, ქეთევან ტომარაძე მთელს გალერეას რომ გადაგვიშლიდა თვალწინ მემორალურ პერსონაჟს პორტრეტებისა, ზოგი რელიეფურად რომ წარმოჩნდებოდა მოგონებათა ფურცლებზე და ზოგიც გაიფიქრებდა; და ნარკვევს უნდა შეექმნა შესაფერ-



ქეთევან ტომარაძე – მებრძოლი კატი დადემქელიანისა



სი ფონი, რათა მკითხველს გადავიღებოდა ისტორიის იმ დრამატულ და ტრაგიკულ ტალანტში გზის გაგნებას და უფრო კანთილად შეეცნო ავტორის სახე – მალს ქვემო სვანეთის, ეცერისა და ბეჩოს დადემქელიანთა მცირე საგვარეულო შტოს გამგრძელებლისა და უკანასკნელი მმართველის – თენგიზის – შვილიშვილისა, ვისაც საგვარეულო გადმოცემა ასე ჩაეგმვდებოდა, რომ:

დადემქელიანთა არაბი წინაპრები ჰყავდათ და სათავეს ყურეობითა იმ ძლევამოსილი შტოდან იღებდნენ, საქართველოში ჯვაროსანთა ეპოქაში რომ დამკვიდრებულიყვნენ.

და სიყმაწვილისა ძილის წინ კარვის ღიობიდან ცის პაჩია ნაკლეჯს რომ მიაჩნდებოდა, მოელანდებოდა ის მომთაბარე მწყემსები, რომელთაც არაბეთის დაბლობის ვაშლილი მინდვრებზე ჯოგები გაჰყავდათ საძოვარზე და რომელთა შთამომავლადაც ეგვიპტეში გადასახდებოდა თავი.

ლინგვისტურ ანალიზს ასე უნდა გაეფართოებინა კვლევის არეალი და ანალოგიების დადებითა და გენეალოგიური ძიებებით საკმაოდ საიმეოლო პერსპექტივაც გადაეშალა.

ქეთევან ტომარაძეს უნდა გაეთვალისწინებინა უკანასკნელ წლებში პოპულარული გენეტიკური კვლევის მიღწევები და ანგარიშგასაწევად მიეჩნია, მეცნიერები ყურეობითა არაბულ წარმომავლობას ეჭვქვეშ რომ აყენებენ და ამტკიცებენ:

ისმილიტები, მუჰამედის ხალხი – როგორც ყურეობით უწოდებენ – არაბები არა ყოფილან, არამედ ეს ის ხალხია, რომელმაც არაბული ენა ისწავლაო.

კვლევის გაგრძელება ამ მიმართულებით, ვინ იცის, მართლაც რა საიდუმლოებას ახდის თანად, საერთოდ კი ქეთევან ტომარაძე ისე ჩაუღრმავდებოდა ცალკეულ გარემოებებს და ისე შორს გაჰყვებოდა არაერთ კვალს, კიდევ ერთხელ დადასტურებდა იმ აუცილებლობას, რომ:

ისტორიული სურათები, მოვლენები, ამბები, ისტორიულ პერსონაჟთა ცხოვრებისეული დეტალები უნდა გაიარკვევს და ვიცოდეთ უკანასკნელ წერტილამდე.

და კატი დადემქელიანის მოგონებანი, გარდა თავისთავად მხატვრულ-დოკუმენტური მნიშვნელობისა, გზამკვლევის როლსაც რომ ასრულებს, ამიტომაც გამოიყენება მთარგმნელი და მკვლევარი ამ ავტობიოგრაფიულ რომანს არაერთ ისტორიული და ყოფითი დეტალისა თუ რეალის დასაზუსტებლად თუ უფრო კანთილად წარმოჩენისთვის, სხვათა მოგონებებსა თუ გამოკვლევებში რომ შეინიშნებოდა; სხვათა მოგონებებსა თუ გამოკვლევებში კი მოიხიბოდა ამ მემორალური გაპარული უზუსტობებისა და სწორედ იმდენად, რათა ოდნავ, სულ ოდნავად არ შეეშალოს ხელი მოვლენებისა თუ ეპიზოდების აღქმა-გააზრებას – მასშტაბურობამ ამა თუ იმ ამბავ-მოვლენისა, არ უნდა მიგვაფაროს თვალთაგან წერტილანები და ნიუანსები.

მასშტაბურობა კი ნიშანდობლივია არა მარტო პირველი მსოფლიო ომის პერიპეტეზებისთვის, არამედ ავტორ თუნდ დადემქელიანთა საგვარეულოსათვის, რომლის ცალკეული ეპიზოდებიც მზამზარეული სიუჟეტური ქარვანია მხატვრულ ქმნილებათათვის.

რით არ არის შექსპირული სულისკვეთებისა დადემქელიანთა საგვარეულოს ორ შტოს შორის წლობით გაგრძელებული მტრობის ის შემზარავი გამოვლენაც, თათარყანი თავისი ძმის ცოლს დიგორხან გარდაცხადეს საგვარეულო კოშკში რომ გამოეყვავდა, რასაც კატი, თათარყანის უშუალო შთამომავალი, ამბზზზზდა და მიუღებდა მიიჩნევდა, და რაც ამ ამბავს მოჰყვებოდა, ღვთისაგან მოვლენილ რისხვად აღიქვამდა, საგვარეულო წყევლად, რაც ორივე შტოს შთამომავლებზე გადავიდოდა და დადემქელიანთა მთელს საგვარეულოს გადაშენების სამიზნობის წინაშე დააყენებდა.

ანდა რით არ არის შექსპირული სულისკვეთებისა კატის მამის – ალექსანდრეს – მკვლელობა, რამაც მისი ძმა თათარი გაერეოდა, ამასაც რომ არ იკმარებდა და შეთხზავდა სასიყვარულო სამკუთხედის ამბავს და ამ მკვლელობას დაამრავლებდა ალექსანდრეს ცოლს – მამილინა ერისთავსა – და ოჯახის მეგობარს უჩა დადიანს, შუა საუკუნეების რაინდს რომ ადარებდნენ და იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დაცვის უფროსობაც მოეწევა.

მამილინას მალე გამოუშვებდნენ საპატიმროდან, უჩა დადიანს კი – მხოლოდ ოთხი წლისთავე, რის ვაივაგლახით რომ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას.

აქ აღარ გავყვები კონსტანტინე დადემქელიანის მიერ ქეთისის გუმბნატორის ალექსანდრე გაგარინის მკვლელობის ამბავს, თემურ ამყოლადე მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს რომ მიუძღვნია, რომლის ხელმოწერა გამოიყენებინა ცალკეული დეტალების დასაზუსტებლად უთუოდ წაადგება კატი დადემქელიანის მემორალური.

ნარკვევის ერთ-ერთ პასაჟში რომ აღინიშნებოდა: ბალტიისპირეთის ბარონებს, იქსკიულესსა და მიენდორფებს, საქართველოსთან ნათესაური კავშირები ჰქონდათო, – მიეღვენებოდა, რომ:

მოცე საუკუნის დასაწყისიდან ეს ურთიერთობა ორი უმშვენიერესი თავადის ქალის – მამო შარვაშიძისა და კატი დადემქელიანის – ბარონის ვაჟებზე ქორწინებით დაგვირგვინდა.

და რომ: მამო შარვაშიძის მოგონებები უაღრესად საგულისხმო ამბავს გვაწვდის ცოლ-ქმრის საინტერესოდ განვლილი ცხოვრებისა.

საკულისხმოა, რომ უკვე ხელთა გვაქვს მამო შარვაშიძის მემორალური წიგნიც, დაწერილი ინგლისურად, რომელსაც ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში შემოიტანდა მაია ცერცვაძე და შესანიშნავ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას ასევე შესანიშნავ კომენტარებსა და ექსკურსებს დაურთავდა.

ხოლო ქართული მემორალური ლიტერატურა ივსება და ივსება ახალ-ახალი მონაპოვნებით, არქივებიდან თუ მიყურების საუფლოდან ამომხვევული ავტობიოგრაფიული წიგნებით, მეგრეგარად მნიშვნელოვანი და სანდო გზამკვლევევით, რადგან არ განვიცდით პროფესიონალი მკვლევრებისა და მთარგმნელების სიმკირესს, ქეთევან ტომარაძის გარჯა ამ მხრივაც რომ თვალსაჩინოა.

და საცხებით მოსალოდნელია, რომ მისი მრავალმხრივი ნიჭიერებისა და ინტერესების მქონე მკვლევარმა ბიოგრაფიული რომანის ჩინებული ნიმუშიც შეევიქმნას, ავტორ თუნდ კატი დადემქელიანის მემორალური დართული ნარკვევიც რომ დაუღოს საფუძვლად და პირველი მსოფლიო ომის კანთილად და შთამბეჭდავად შემოიტანოს ჩვენს რომანისტიკაში.

როსტომ ჩხაიძე





კარბა ხანი, რუსეთი ნატოსა და ევროკავშირის გახლეჩას ცდილობს. ის, რაზეც რუსეთის მთელი მთავრობა წლების განმავლობაში მუშაობდა, ახლა ერთმა გერმანელმა საზღვაო ადმირალმა მხოლოდ რამდენიმე წინადადებით მოახერხა. ამას წინაშე, გერმანიის საზღვაო ძალების სარდალი, ვიცე-ადმირალი კაია-ახიმ შიონაზი ოფიციალური ვიზიტით ინდოეთში იმყოფებოდა. იქ ერთ-ერთ

შეხვედრაზე სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ ყირიმში უკრაინას ვერასოდეს ვერ დაუბრუნდება, და ეს ფაქტი დასავლეთმა უნდა აღიაროსო. მან ასევე განაცხადა, რომ უკრაინა ვერ აკმაყოფილებს ნატოში განწევრების კრიტერიუმს, რადგან დონბასი ოკუპირებულია, ხოლო აღიანსში საქართველოს განწევრება, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, არ არის გონივრული. გერმანელი ვიცე-ადმირალის გამოსვლამ დიდი სკანდალი გამოიწვია. მის შეხედულებას დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა განუდგა. უკრაინამ გერმანიას დიპლომატიური ნოტა გაუგზავნა.

გერმანიის მთავრობას თავის მართლება დასჭირდა, რომლის პრესმდივანი მთავრობის სახელით ადმირალის გამოთქმას გაემიჯნა და ასეთი გაუგებრობისთვის უკრაინას ბოდიში მოუხადა. ვიცე-ადმირალმა თანამდებობა დატოვა. მან ტვიტერზე გამოქვეყნებულ პოსტში ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ განცხადებები მისი პირადი აზრია, რომელსაც გერმანიის თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან კავშირი არ აქვს. დასავლეთის მასმედიამ და პოლიტოლოგებმა აღნიშნეს, რომ ადმირალის ქცევა გერმანიის რუსეთის მიმართ არასწორი პოლიტიკით არის გამოწვეული. გერმანია რუსეთის მიმართ, ტრადიციულად, დაყვავების პოლიტიკას ატარებს, რაც მაინცდამაინც გამართლებული არ ჩანს. იმ დროს, როდესაც ევროპისა და ნატოს ბევრი ქვეყანა აქტიურად ეხმარება უკრაინას, გერმანიის პასიურობა თვალშისაცემია. დიდი ბრიტანეთი, კანადა, ამერიკა უკრაინას სამხედრო ტექნიკით ეხმარებიან.

ცნობილია, რომ გერმანიის ეკონომიკა თავისი სიდიდით მსოფლიოში მე-4 ადგილზეა. ეს ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე წინ დგას ექსპორტის თვალსაზრისითაც. ის დიდ როლს თამაშობს რუსეთის ექსპორტ-იმპორტშიც და საფინანსო სანქციების გატარებასთან ერთად, გაზსადენ Nord Stream 2-ის შეჩერებაც შეუძლია. გერმანიის მთავრობა კი, ძალიან პასიურობს. ამაზე მეტყველებს ცნობილი გერმანელი მეცნიერების ლია წერილიც: 14 იანვარს, 70-ზე მეტმა გერმანელმა მეცნიერმა პოლიტოლოგიის და სამართლის საკითხებში ხელი მოაწერა ლია წერილს გერმანიის მთავრობისადმი. ამ წერილში მეცნიერები მთავრობისგან მოითხოვენ, რომ შეწყვიტოს რუსეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და დიპლომატიურ აქტიურობაზე გადავიდეს. მათი აზრით, რუსეთის ასეთ აგრესიულ პოლიტიკას გერმანიის მთავრობის პასიურობა აქეზებს. წერილის ავტორები აცხადებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთში ნაცისტური გერმანიის დანაშაულები არ ამართლებს ბერლინის ასეთ ქცევას.

გერმანიის მთავრობა დუმს. დოიჩლანდის პოლიტიკურ და ბიზნესელიტას უჭირს რუსეთთან კონფრონტაციის დაწყება. ჯერჯერობით, გერმანიის ელიტის ეგოიზმი იმარჯვებს. გერმანია, და მთლიანად ევროკავშირი უნდა გააქტიურდნენ საერთაშორისო არენაზე, რადგან სწორედ ახლა წყდება ევროპის უსაფრთხოების საკითხი. ასეთი პასიური ქცევიდან გამომდინარე, რუსეთმა, მოლაპარაკებების დროს, მთლიანად უგულვებელყო ევროკავშირი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი, საბოლოო ვერდიქტი გამოუტანა ევროპას. მისი თქმით, **ევროპა იმპოტენტია და მასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს.** შეძლებენ თუ არა ევროპის ქვეყნები თავიანთი ეგოიზმი გვერდზე გადადონ და ერთ პოლიტიკურ ძალად შეიკრან, ამას მომავალი გვაჩვენებს.

მსოფლიოში 4000-მდე ეთნოსია, მაგრამ მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო არსებობს, ანუ ყველა ეთნიკური ერთეული ვერ ახერხებს სახელმწიფოს შექმნას. მაგალითად, ორმოც მილიონამდე ქურთულმა ეთნოსმა დღემდე ვერ შეძლო სახელმწიფოს შექმნა. ხდება პირიქითაც, როცა ზოგიერთი ეთნოსი კარგავს ხოლმე სახელმწიფოებრიობას, რომლის დაბრუნებას, შეიძლება, საუკუნეები დასჭირდეს. ისრაელი და საქართველო, მაგალითად, ძალიან დიდხანს მოუწოდნენ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. არსებობენ მრავალეროვანი სახელმწიფოებიც, რომელთა შიგნით მშვენივრად თანაარსებობს რამდენიმე ეთნოსი. თუ რატომ არ აქვს ზოგიერთ ეთნოსს თავისი სახელმწიფო, ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი იმპერიებს შორის დაპი-

რისპირებაა. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში არსებობს ქვეყნები, რომლებიც ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების ჯახის გამო შეიქმნა. მძიმე აღმოჩნდა უკრაინის სახელმწიფოებრიობის ბედიც. უკრაინა დიდი წარსულის მქონე ქვეყანაა, მაგრამ ასეთი სახელმწიფოს სახელმწიფო მხოლოდ მე-20 საუკუნეში გამოჩნდა. ლიტერატურული უკრაინული ენა კი, მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. მანამდე, უკრაინის ტერიტორია და თავად ერიც, უცხო ქვეყნებსა და იმპერიებს ჰქონდათ შთანთქმული.

უკრაინელმა ისტორიკოსებმა გრძელი დისკუსია გააჩაღეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოედგინათ ქვეყნის ეთნიკური და ტერიტორიული ისტორია. შუა საუკუნეებში, თანამედროვე უკრაინის ტერიტორია აღმოსავლეთ სლავური კულტურის ცენტრი იყო. აქ მდებარეობდა კიევის რუსეთის ძლიერი სახელმწიფო. ევროპის ზოგიერთი ერი შუა საუკუნეების ბოლოს ჩამოყალიბდა, და არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ უკრაინელი ერიც გვიან შეიქმნა. აქედან გამომდინარე, კითხვა, თუ ვინ დააარსა კიევის რუსეთი, რუსმა თუ უკრაინელმა, არასერიოზულია, ისევე, როგორც ევროპაში არავის არ მოუვა თავში აზრად, გაარკვიოს

ნუ გაუინის, უკრაინა!



კარლოს დიდის, იგივე შარლემანის სახელმწიფო, ანუ საღვთო რომის იმპერია გერმანული, ფრანგული თუ იტალიური იყო. მაშინ ეს ერები უზრალოდ არ არსებობდნენ. უკრაინელი, როგორც ასეთი, უკვე მე-16 საუკუნეში არსებობდა, როცა პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობა ჩამოყალიბდა, ანუ Rzecz-pospolita, იგივე res-publika ამ სახელმწიფომ შთანთქა უკრაინა.

დამოუკიდებლობისთვის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, უკრაინა კვლავ გამოჩნდა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე კაზაკების სახელმწიფოს სახით. 1648 წელს, ზაპოროჟიის კაზაკებმა ჰეტმან ბოგდან ხმელნიცის მეთაურობით, დამოუკიდებლობისთვის აჯანყება მოაწყვეს. შედეგად, შეიქმნა კაზაკების სახელმწიფო, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება. უკრაინას ორი სახელმწიფო ემუქრებოდა მაშინ: დასავლეთიდან Rzecz-pospolita და აღმოსავლეთიდან რუსეთი. უკრაინელი თავადობაც ორ ბანაკად გაიყო: პრორუსულად და პროპოლონურად. ბოგდან ხმელნიცმა რუსეთი არჩია, რომელიც ვასალური, თუმცა, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს შეჰპირდა, მაგრამ ხმელნიცკი მოტყუვდა. უკრაინის ტერიტორია ორად გაიხლიჩა. დასავლეთი პოლონეთმა შთანთქა, აღმოსავლეთი კი – რუსეთმა. სუვერენიტეტის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ უკრაინის ისტორიაში მრავალსაუკუნოვანი კოლონიური არსებობა დაიწყო, გაყოფილი ძირითადად რუსეთსა და პოლონეთს შორის.

პოლონეთის დაცემის შემდეგ დასავლეთი უკრაინა ავსტრიის იმპერიაში შევიდა. რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებდა, რომ უკრაინელებს საკუთარი იდენტობა დაეკარგათ. სახელმწიფოებ უკრაინა მალე-მალე შეცვალეს. შენდებოდა ქალაქები, სადაც რუსები სახლდებოდნენ. უკრაინელი თავადაზნაურობა რუსულად ლაპარაკობდა. უკრაინულად მხოლოდ დაბალი ფენა საუბრობდა. დასავლეთ უკრაინაში ანუ გალიციაში, რომელიც ავსტრიის იმპერიაში შედიოდა, უკრაინელებს არ ავიწროებდნენ.

ამიტომ, უკრაინის ეროვნული მოძრაობის ცენტრი გალიციაში, ქალაქ ლეოვში გადავიდა. სწორედ აქ დაიბადა მცნება „გალიციური წარმოშობის უკრაინა“, რომლის მთავარი მტერი რუსეთი გახდა. 1876 წელს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გამოსცა საიდუმლო განკარგულება, რომელიც ისტო-

რიაში „**ЭМСКИЙ Указ**“-ის სახელწოდებით შევიდა. ეს განკარგულება კრძალავდა საგამომცემლო საქმიანობას უკრაინულ ენაზე, უკრაინულ ენაზე დაწერილი წიგნებისა და გაზეთების სხვა ქვეყნებიდან იმპორტს, სპექტაკლების დადგმას და ლექციების წაკითხვას უკრაინულად. ამის გამოა რომ, დღესაც, უკრაინა ორადაა გაყოფილი. დასავლეთ უკრაინაში არსებობს ძლიერი ეროვნული იდენტობა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ანუ დონბასში, უკრაინელებმა დაკარგეს ეს იდენტობა და საკუთარ თავს რუსებად მიიჩნევენ. უკრაინელების გახლეჩას შეამჩნევთ უკრაინულ ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც. მაგალითად, უკრაინელი მწერალი ტარას შევჩენკო თავს უკრაინელად თვლიდა და უკრაინულად წერდა. გოგოლი კი, მართალია, წარმოშობით უკრაინელი იყო, მაგრამ მშობლიურ ენად რუსული მიიჩნდა. რუსეთის იმპერიის დაშლისა და რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1918 წელს უკრაინის სახალხო რესპუბლიკა შეიქმნა, რომლის პირველი რადისი, ანუ პარლამენტის თავჯდომარე მიხეილ გრუშევსკი გახდა.

პირველმა მსოფლიო ომმა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაც შთანთქა. დასავლეთ უკრაინაში, რომელიც მაშინ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდა, შეიქმნა დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც მხოლოდ რვა თვე იარსება, რადგან ანტანტის ქვეყნებმა დასავლეთი უკრაინა პოლონეთს გადასცეს. უკრაინის სახალხო რესპუბლიკა დულდა. მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტა პოლარიზებული იყო. უკრაინის ზოგიერთი ოლქი არ ცნობდა უკრაინის ცენტრალურ ხელისუფლებას. ზოგ რეგიონში კი, შეიქმნა თვითმარქვია სამხედრო დაჯგუფებები. მაგალითად, აჯანყებული რევოლუციური არმია ნესტორ მახნოს მეთაურობით. უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ვერ დაიცვა უკრაინის სახელმწიფოებრიობა. რესპუბლიკამ ფაქტობრივად არსებობა 1920 წელს შეწყვიტა წითელი არმიის იერიშის შედეგად. მაგრამ უკრაინული ეროვნული ცნობიერება, რომელიც ადრე მხოლოდ ინტელიგენციის ნაწილს ახასიათებდა, უკრაინული საზოგადოების ყველა ფენაზე გავრცელდა. 1917-20 წლების მოვლენები არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ-რევოლუციურ ხასიათსაც ატარებდა. 1922 წლის დეკემბერში უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა.

დასავლეთ უკრაინაში, ანუ გალიციაში, რომელიც პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა, კვლავ ძლიერი იყო უკრაინული ეროვნული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ლიდერი სტეფან ბანდერა იყო. ეროვნულ მოძრაობას არალეგალური სამხედრო დაჯგუფებები ჰყავდა. 1940 წელს უკრაინის ეროვნულმა მოძრაობამ ბანდერას მეთაურობით ახლო კავშირი დაამყარა ნაცისტურ გერმანიასთან. გერმანია უკრაინას დამოუკიდებლობა ჰპირდებოდა. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, უკრაინულმა ეროვნულმა მოძრაობამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება სცადა, მაგრამ ხელი მოეცარა. ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობაში არ არსებობდა უკრაინის დამოუკიდებლობის სურვილი. ნაცისტებმა ბანდერა და სხვა ლიდერები დაიჭირეს და საკონცენტრაციო ბანაკში ჩაყარეს. უკრაინული ეროვნული მოძრაობის სამხედრო დაჯგუფებები ორად გაიყო.

ერთი ნაცისტების ესმარებოდა, მეორე კი, ყველას ებრძოდა, ნაცისტებსაც და საბჭოთა არმიასაც. მეორე მსოფლიო ომის დროს, უკრაინამ, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ზარალი განიცადა. დაახლოებით 10 მილიონამდე უკრაინის მოქალაქე დაიღუპა იმ ომში. ოთხმა მილიონმა კი, სამშობლო დატოვა და დასავლეთში გადასახლდა. 1945 წელს სტალინმა გაეროში დამატებითი ხმების მოსაპოვებლად ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრად გახადა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა. 1990 წლამდე, უკრაინა გაეროს მუშაობაში მონაწილეობდა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. რა თქმა უნდა, ეს წევრობა ნომინალური იყო, მაგრამ მაინც რაღაცას ნიშნავდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა უკრაინის თანამედროვე საზღვრები.

პოლონეთთან და რუმინეთთან მოხდა საზღვრის კორექტირება. ჩეხოსლოვაკიამ უკრაინას იმიერ-კარპატების ოლქი დაუბრუნა. 1954 წელს სრულშედეგით განკარგულებით ყირიმში გადაეცა უკრაინას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2014 წელს პუტინმა უკრაინას ყირიმში დაპყრობა... დღეს კი აღმოსავლეთიდან უტევს.

ნუგზარ ბ. რუხაძე
პოსტ





BEIJING 2022

საზრანგეთის ლიტერატურა ბოიკოტს არ უპირისპირდება

საზრანგეთის ხელისუფლება არ უერთდება დასავლეთის ქვეყნების რიგებს, რომელთაც პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს დიპლომატიური ბოიკოტი გამოუცხადეს. ამის შესახებ საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა ევროპულ საკითხებში კლემან ბონმა განაცხადა.

„ოლიმპიურ თამაშებს საფრანგეთის სპორტის მინისტრი როქსანა მარასინიანიუ დაესწრება. საფრანგულად, ის გახსნის ცერემონიაზე არ იქნება, თუმცა ჩვენს სპორტსმენებს თამაშებზე უფულშემატივრებს“, – განაცხადა ბონმა ფრანგული რადიოს ეთერში. მანამდე, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილად არ მიანია ოლიმპიური თამაშებისთვის დიპლომატიური ბოიკოტის გამოცხადება.

თალიზანის უპირისპირება

ბაქოს ანგარიშის თანახმად, თალიზანმა და მათმა მოკავშირეებმა ავღანეთის მთავრობისა და უსაფრთხოების ძალების ასზე მეტი ყოფილი წევრი მოკლეს.

„მთავრობის ყოფილი წევრებისთვის, უშიშროების ძალებისა და უცხოელ სამხედროებთან მომუშავე პირებისთვის საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების მიუხედავად, ავღანეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამხმარე მისია კვლავ იღებს სარწმუნო ცნობებს მკვლელობების, ძალადობრივი გაუჩინარებისა და სხვა დანაშაულების შესახებ“, – აღნიშნულია გაეროს ანგარიშში.

პერსონალს ენერგომომარაგების დიპლომეტიკის სტირდება

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ევროპას ენერგომომარაგების დივერსიფიცირება სჭირდება.

„ჩვენ უმჯობესეს ვართ ევროპაში ენერგეტიკული სიტუაციით, რადგან ეს ცხადყოფს ბუნებრივი აირის ერთ მიმწოდებელზე ზედმეტად დამოკიდებულების მოწყვლადობას და ამიტომ ნატოს მოკავშირეები თანხმდებიან, რომ ჩვენ გვჭირდება მუშაობა და ფოკუსირება მომარაგების დივერსიფიცირებაზე“, – აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.


სერჯიო მატარა ისაპ პრაზნიკი

მოგაწვდომო 7

წლის განმავლობაში იტალიის პრეზიდენტი კვლავ სერჯიო მატარელა იქნება. 80 წლის მატარელას სურდა, თანამდებობა დაეტოვებინა, თუმცა, როგორც ადგილობრივი მედია წერს, პრემიერ-მინისტრმა მარინო დრეაგამ ის დაარწმუნა, იტალიის „სტაბილურობისთვის“ თანამდებობაზე დარჩენას დათანხმდებოდა. აღსანიშნავია, რომ კოალიციურმა პარტიებმა ვერ შეძლეს, საერთო კანდიდატზე შეთანხმებულიყვნენ.



ზედიზედ მე-7 კენჭისყრაზე, პარლამენტის მიერ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მატარელამ აღნიშნა, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ჯანდაცვისა და ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს.



ზალვა საბაშვილი:

ჰოეზია ბილიკია უჭეუპარტიუსისკენ!..

ისინი და უნ

ზოგს შენი თვალები ჰქონდა და არაფერი სხვა, ზოგს შენი ღიმილი ჰქონდა და არაფერი სხვა,

ზოგს – თვალწარმტაცი სხეული და არაფერი სხვა, ზოგს – ფიქრი, ტურფად ხვეული და არაფერი სხვა,

ზოგს შორი სევდა ათოვდა, არაა ებადა სხვა, ზოგი ხანმოკლე ნათობდა – ფერფლთა უმძიმდა ზღვა.

და რადგან შეძლო მიგნებამ შენი ფერებით წვა, რადგან შენ ხარ ფიქრები და კიდევ ბევრი სხვა:

ამოუცნობი მარათი, ყოვლისმომცველი ზღვა – მეც შენ შემჩნები მარადის და აღარაფერს სხვა!

ზმანებებს შორის

ვერაფერი გავუგე მე საკუთარ ტაიგებს, თუმცა სულის ტკივილი ასჯერ

გადამითვლია, ვერვინ გამასამართლებს, ვერვინ ვერას გაიგებს, რომ ყველაზე მთავარი არასოდეს მითქვია.

დავსეინობ უმიზნოდ, ზმანებანი ავდებ, თითქოს ჩემი სახემა ვილაყაში მერვეა, არის გრძელი სიზმარი, რაც არასდროს თავდება,

უტყვი გადაფითრება, ხშირი თვალგაშტერება.

ხოლო ფიქრთა ამნევა არასოდეს ფერხდება, დაკარგული გრძნობანი სადღაც შემქუჩებია, როდის მოველ – არ ვიცი, საით წავალ – ვერ ვხვდები, და სიზმრული სახენი სიზმარშივე რჩებიან.

მიყვარს ადამიანთა მისტიური სახენი, ოღონდ ვერ გამიგია, სად არიან ისინი, და არ ვიცი, სად მივალ, არ ჩანს გადასახვევი და არ მტოვებს შემშლელი ცივი ქარის სისინი.

ახლა არის საღამო და ჰანგების ჯირითი, ხმები გულში მწვდებიან (თუკი გული კვლავ არი!), ჩემს წინ თითქოს მთებია, თითქოს ზღვეებისპირეთი და არ მესმის, რა არის აქ ყველაზე მთავარი.

მე არსაით წავალ და მაინც ვნახავ არყნარებს, ჩემით გავასკეცებ ფერთა მომხიბლობას, ხოლო სხვებს რომ ვუყურებ, ვიცი და ვხარხარებ: რად დასჭირდა ბუნებას ამნაირი სხვაობა?

და ვერაა გავუგე მე საკუთარ ტაიგებს, თუმცა სულის ტკივილი ასჯერ გადამითვლია, ვერვინ გამასამართლებს, ვერვინ ვერას გაიგებს – ჯერ ყველაზე მთავარი არასოდეს მითქვია...

საით მიდიოდა მინა?

რისთვის გაიელვა ღამემ თვალმშვეულები ეშხით? რად არ ახსენდებოდა რამე იმგვარ ღამეთაგან შემულით?

საით მიდიოდა მიწა ასე მოუღლევი სრბოლით, ან რა ნიშნებითა ვიყავი სახლი, ფერმეცვლილი ზოლით?

რა ხმა მოისმოდა მალლით, და ვის უგზავნიდა რისხვას, ან იმ წუთებისგან დაღლილთ ჰქონდეთ მოლოდინი რისდა?

რისთვის მოითხოვდა ღიმილს სიო, ნაქროლები ზენით, ან რას დაეძმდა სხივი ასე გულწაყული მზერით?

რად არ ახსენდებოდა რამე იმგვარ წუთებისგან შემულით? რისთვის გაიელვა ღამემ ასე უეცარი ეშხით?

ნაპილა?

წავიდა? შეწყდა? მთებზე დავარდა? სივრცე აკლია? გაიშრიალა? გაინავარდა? ცას მიაკვლია? დაეცა? გაჰქრა? განიზნა? მიწყდა? სად არის ხატი?

რა მოერია? წვიმები? ნისლი? სიცივე? ხვატი?

რა სჭირდებოდა? თანდევნა? მზერა? ფერება? მოვლა? ქარმა დალენა? წყალმა წაიღო? თოვლმა დათოვლა?

ვიდარდო? ვიგრძნო? ვეძიო? ვლიო? ვიდეგ? ვიარო? სადაა: გული გაუმზანავი, ცა – უიარო?

იყო? მიხილავს? მეზმანა? ვგრძნობდი? რა იყო მასში? სად ვნახე? ველზე? ღრუბელთა შორის? ქარის გნასში?

რატომ სცემს გული? დაეძმეს? ისევ ხილვა უნდებოდა? წავიდა? გაჰქრა? მიწყდა? დაიმსხვრა? არ დაბრუნდება?

შეღამებისას

შეღამებით (ამაოდ ფიქრი ეკველუცა ბედს!) მწუხარება ჩააქრობს შთაგონებას უცაგედს. შეღამებით, როდესაც ზეცას ალი ედება, ლაყვარლები ვანსკვლავთა ჯარით მოიჭედება.

შეღამებით თვით მზერა, თუმცა ასგზის ავლესე, კვლავ უმიზნოდ გადარბის ვანსკვლავთა ზღვა სიმრავლებე, და იქ, სადაც მნათობნი სჩანან ურიცხვ გუნდებად, იგი ვერას პოულობს!

იგი უკან ბრუნდება! შეღამებით ძნელია ხოლმე მინის მოგნება, შეღამებით ფიქრს იტანს ეჭვი და გაოგნება. დაღლილ მზერას სივრცეში ალარ გაეხედება,

მაინც იგი შორეთში მარად დაეხეტება. ოცნებებო, უფსკრულთა სიღრმეებს ეხამებით, სულის დაიმედება ძნელია შეღამებით! ო, სასტიკ შემოტევას აურაცხელ ხმებისას უძლებს ჩემი სივრცენი ყველა შეღამებისას...

სამუდამო სარკველი

ჩემი სულის უგრძეს გზაზე არაერთხელ შეფასდა: პოეზია მისვლა არის საიდუმლოებასთან.

ჩემი არსი ბევრჯერ შორმა ნათებებმა შეცისკრეს, პოეზია ბილიკია უჭეუპარტიუსისკენ.

ტკბობა არის იმით, რასაც მუდამ მივეკრძალებით, უდიდესის გამოთქმა უმცირესი ძალებით.

ხან ქარიშხლის გზებით დაჰქრის, ხან ნებდება ფრთხილ ნავარდს, პოეზია უმძიმესში უნაზისის ხილვაა.

ის, მარადის გარს რომ გვეკვრის წაურთმეველ განძივით, უშორესთან გადასვლაა უმოკლესი მანძილით.

ჩემი ყოფის ხერხემალი მას მარადის ებარა, პოეზია სულის უღრმეს შრეში ჩაღრმავებაა.

ჩვენს გრძნობათა გაზაფხულებს ზამთრის ვერცხლით ემურვის, ის ლაყვარდში ატყორცნაა სწორი, მერცხლისეზური.

ვიღაც შორი მარად ზრუნვით ურიცხვ სანთლებს აკმევდა; პოეზია გაჭრა არის სამუდამო სარკველთა...

გრძელდება ბრძოლა!



ნონა გაფრინდაშვილი „ნეტფლიქსს“ დააშაბათებს!

ამასაც მოვისწავროთ – დიდ ნონა გაფრინდაშვილს საკუთარი ქართველობისა და ვაჟ მეტოქეებთან გადატანილი ძლევამოსილი ბრძოლების დასამტკიცებლად სამართლებრივი პროცედურებით სარგებლობა უნდა.

საუბარია პლატფორმა „ნეტფლიქსის“ გადაღებულ ფილმზე „ლაზიერის გამბიტი“, რომელიც ზემოთდასახელებულ დანაშაულებრივ უზუსტობებს შეიცავს, ჭადრაკის მარადიული დედოფალი კი ჭეშმარიტების აღსადგენად და მიყენებული მორალური ზარალის საკომ-

პენსაციო თანხად 6,5 მილიონ დოლარს ითხოვს.

მართალია, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოტივით მონინალმდებელ მხარემ საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა, მაგრამ კალიფორნიელმა მოსამართლემ ვირჯინია ფილიპსმა აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ბრძოლა გრძელდება. ბარაქა მას! დიას, საბოლოოდ იდენტიფიკაციას და ღირსებას უნდა იხვიოს და ასეც იქნება!

ვრცელად – მომდევნო ნომერში.

ასეც ხდება

მნარე გაკვეთილი

ევროპის უძლიერეს გუნდს ფუტსალში – ესპანეთის ნაკრებს აქამდე გამართული 11 კონტინენტური ფორუმიდან 7 აქვს მოგებულობა და 2-ჯერ ფინალში ითამაშა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი 2-ჯერ გაიმარჯვა, მაგრამ ბოლო წლებში ტიტულები შემოაკლდა და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება სოლომე, ფედერაციო ვიდეოს სახით ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, რომელმაც საფუძვლიანად გადაახალისა შემადგენლობა.

ბუნებრივია, ამით პირენეელთა ფავორიტის სტატუსი დანაგავდაც არ შეზღუდულა, რაც კარგად გამოჩნდა ნიდერლანდებში მიმდინარე „ევრო-2022“-ის ჯგუფური რაუნდის ფინალში: ესპანეთი-საქართველო 8:0. მოგესხენებათ, ავთანდილ ასათიანის განვრთნილმა „ჯგუფოსნებმა“ გრონინგენში სპორტული გმირობა ჩაიდინეს და ვადამდე გაინადღეს პლეი-ოფის საგზური, სადაც დღეს ამსტერ-

დამში რუსეთს შეერკინებინ. ეტყობა, ამანაც განაპირობა, რომ ძლიერ მეტოქესთან ჩვენებურებს ცეცხლი აკლდათ, არადა 2019 წელს „მუნდიალის“ საკვალი ფიკაციო ეტაპზე მასთან მხოლოდ ბოლო წუთებზე დათმეთ ღირსეულად გადატანილი ბრძოლა – 2:3.

ვიმედოვნებთ, ბიჭებს უკვე დავინყებულნი აქვთ ესპანური კომპარი, კუპატაქე და ელისანდროც ბოლომდე მოიშუშებენ ტრავმებს და დღეს პრინციპულ ჯახში ნამდვილ შესაძლებლობებს წარმოაჩენენ.



საფეხბურთო მოზაიკა

უკვე გაუნყეთ, რომ 48 წლის შოტლანდიელი არგენტინელი კარიერა ფეხბურთის სამშობლოში გააგრძელა და ჩემპიონშის ბინადარი „ჰალ სიტი“ ჩაიბარა.

მოგვიანებით გამოცხადდა, რომ ადამიანი – გოლის კონტრაქტი 2,5-წლიანია, მის სადებიუტო შეხვედრაში კი „ვეფხვებმა“ უელსური „სოუსი“ დაამარცხეს – 2:0.

* * *

რომორც იქნა, ბიორბი ჩაკაპიტაქემ 5-წლიანი ტანჯვის შემდეგ, რომელიც ძირითადად ტრავმებით იყო გამოწვეული, თავი დააღწია ბელგიურ „გენტს“ და იჯარის წესით 30 ივნისამდე კარიერას მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერ „ჰამბურგში“ გააგრძელებს, რომელიც გერმანიის ექვსგზის ჩემპიონი, აგრეთვე ჩემპიონთა და თასების თასის მფლობელია, ბუნდესლიგა კი რამდენიმე წლის წინათ პირველად დატოვა და ამ სეზონში იქ დასაბრუნებლად იბრძვის – ჯერჯერობით მესხუთე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ 1979 წელს კიგანმა, კალტცმა, პრუბემმა და კამპანამ თბილისის „დინამოს“ მოუგეს.

* * *

ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ზებზებ ჰანკაძემ პირნათლად მოიხადა ვალი ქართული ფეხბურთის წინაშე და სანაკრებო კარიერა 100(!) მატჩითა და 10 გოლით დაასრულა. გმადლობთ, კაპიტანო!

* * *

აზრიკის ეროვნებათა თასი. ნახევარფინალში ითამაშებენ: კამერუნი – ეკვატორული გვინეა (ხვალ), ეგვიპტე – სენეგალი (ზეგ).

ნაზ

ლეონარდო დიკაპრიო კლივლენდში ბრუნდება, თუმცა არა გუნდში, არამედ სხვა ამპლუაში – „ლოს ანჯელეს ლივერსის“ ლიდერი ქალაქში, სადაც 11 წელი ითამაშებდა, ახლა All-Star-ის დასავლეთ კონფერენციის კაპიტანის რანგში ჩავა.

37 წლის ფორვარდის ხუთეულში „დენვერ ნაგეტსი“-დან ნიკოლა იოკიჩი „გოლდენ სტიტ უორიორზიდან“ ენდრიუ უიგინსი და სტივენ კარი, ხოლო „მემფის გრიზლიზიდან“ ჯა მორანტი იქნებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ მორანტი და უიგინსი ყველა ვარსკვლავის მატჩის დებიუტანტები არიან, ხოლო გუნდის კაპიტანი All-Star-ში ზედიზედ მე-18-ედ ითამაშებს და კობი ბრაიანტის რეკორდს გაიმეორებს. ლებრონმა, რომელმაც ნბა-ში კარიერა 2003 წელს „კვალაიერსში“ დაიწყო, ყველა ვარსკვლავის მატჩში 2005 წლიდან მოყოლებული ითამაშობს. ის All-Star-ის MVP 3-ჯერ – 2006, 2008 და 2018 წელს გახდა, პირველ გუნდში 2006, 2008-2018 და 2020 წლებში მოხვდა, ხოლო მეორეში 2005, 2007 და 2021 წლებში. ერთადერთხელ იყო მესამე გუნდში 2019 წელს.

71-ე ყველა ვარსკვლავის მატჩში აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდის კაპიტანი გასული წლის მსგავსად,



ხუთეულია სწოვლია

კვლავ კვირ დურანტი იქნება, თუმცა დიდი ალბათობით „ბრუკლინ ნეტსის“ ლიდერი თამაშში მონაწილეობას მუხლის ტრავმის გამო ვერ მიიღებს. ჯერჯერობით უცნობია თუ ვინ ჩაანაცვლებს მას. დურანტის ხუთეულში „ფილადელფიიდან“ ჯოელ ემბიდი, „მილუოკი ბაქსიდან“ იანის ანტეტოკუემპო, „ჩიკაგო ბულზიდან“ დემარ დეროზანი და „ატლანტა ჰოუქსიდან“ ტრეი იანგი იქნებიან. კვირ დურანტი All-Star-ში მე-11-ედ მიიღებს მონაწილეობას. 33 წლის ამერიკელმა ყველა ვარსკვლავის მატჩში აქამდე 2010-2019, 2021 წლებში ითამაშა.

სასტარტო ხუთეულების შერჩევა შემდეგნაირად მოხდა. ხმების 50% გულშემატკივრების იყო, ხოლო 25-25% მოთამაშეთა და მედიის წარმომადგენლებზე გადანაწილდა. კაპიტნები გულშემატკივრებმა შეარჩიეს, შესაბამისად ლებრონ ჯიემსმა და კვირ დურანტმა ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. კაპიტნები გუნდებს მოგვიანებით დაასახელებენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 5-კაციანი ძირითად შემადგენლობებში დღეის მდგომარეობით კონფერენციების ლიდერი გუნდებიდან: „ფინიქს სანსიდან“ და „მაიაში ჰითიდან“ არცერთი კალათბურთელი არ მოხვედრილა. ასევე სიის მიღმა დარჩა „დალას მავერიქსის“ ვარსკვლავი ლუკა დონჩიჩი. სლოვენელთან ერთად ნბა-ს რამდენიმე გამორჩეული სახეც დაიჩაგრა.

2022 წლის All-Star ყველა ვარსკვლავის მატჩი 20 თებერვალს, კლივლენდში გაიმართება, ხოლო რეზერვები, რომლებსაც მთავარი მწვრთნელები შეარჩევენ, 3 თებერვალს გაირკვევა.

თაობა

მზაბაზის ქუჩას ხომ ვერ მიმასწავლით – შუქნიშნთან შეჩერებულს სპორტული აღნაგობის ემზიანი გოგონა მომიხლოვდა.

გუმანმა არ მიმტყუნა – მძლეოსანი აღმოჩნდა, რომელიც წინააღმდეგობის გადალახვასა და სპორტულ დისტანციებზე სირბილში ვარჯიშობდა თურმე და საქართველოს ასაკობრივი ნაკრების წევრიც ყოფილა, მაგრამ ტრავმამ კარიერა ნაადრევად დაასრულებინა.

სამაგიეროდ, შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი მომავალი პროგრამისტი და ავლაბარში რესტორან „ოცნებაში“ ადმინისტრატორად მუშაობს ასევე ასწრებს. ის კი არა, როგორც გამომხილა, მეორე სამსახურსაც ეძებს, არადა მშპ მელქონიანი ჯერ 18 წლისაა.

– დედა თბილისელი რუსია, მე კი მოსკოვი დაიბადე, სადაც 14 წლამდე ვცხოვრობდით,

სწავლას, შრომას...

მაგრამ ნათესავები აქაც მყავს, ამიტომ გადაწყვეტილება პირადად მე მივიღე და მშობლებთან ერთად საბოლოოდ დავბრუნდი.

– ალბათ, ქართულ მენტალიტეტზე შეგეჭმნებოდა უკვე გარკვეული წარმოდგენა.

– რასაკვირველია, და იგი მხოლოდ დადებითია. დიას, ნამდვილად გამოირჩევიდა ადამიანური ურთიერთობებით, სიკეთით, უფროსებისადმი პატივისცემითა თუ გამვლელებისადმი ყურადღებითაც კი.

– მართალია, დამტყვევლი ქართული მომართე, მაგრამ, ეტყობა თანდათან უფლებები ჩვენს სახელმწიფო ენას.

– მართალი ბრძანდებით, სწავლაშიც და მუშაობაშიც ძალიან მესმარება უცხო ენების

სწავლად ათვისების უნარი. კი ბატონო, ჯერჯერობით გამართული ქართული საუბარი მიჭირს, მაგრამ თითქმის ყველაფერი მესმის და ვიგებ.

– საინტერესოა, როგორ აისახა თინეიჯერზე კორონავირუსი.

– რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერზე, პანდემიამ და განათლების ონლაინ-სისტემაზე იძულებითმა გადასვლამ სწავლაზე იმოქმედა და რესტორანიც მთელი წელი დაკეტილი გვქონდა, მაგრამ თბილისი თანდათან ძველ ქალაქს ემსგავსება.

– ისტორიულ სამშობლოსთან თუ გაკავშირებს რამე?

– მართალია, ნათესავები სომხეთშიც მყავს, მაგრამ ამჟამად მათთან ყოველგვარი ურთიერთობა განწყვეტილი მაქვს,

რადგან დედის ხაზს ვანიჭებ უპირატესობას.

– ამბობენ, დედისერთები ეგონსტები არიან...

– ეს ძველი სტერეოტიპია და, როგორც ყურადღებით მოსილ გარემოში აღზრდილი, კატეგორიულად არ ვეთანხმები აღნიშნულ მოსაზრებას.

– პირადი ცხოვრების შესახებ რას გვეტყვი?

– სამაგისოდ ამ ეტაპზე ნამდვილად არ მცალია – მთავარია სწავლა და შრომა.

– იქნებ, ჰობიც გაგვანდო...

– სიამოვნებით – ხატვა, კითხვა და გიტარაზე დაკრა.

შეიძლება, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა – მოდურად ქცეულ პოლიტიკაზე რატომ არაფერი ვკითხეო. ვფიქრობ, ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნებითა და ქართულ ენასთან ღირსეული დამოკიდებულებით ამ კითხვებზე პასუხი თავისთავადაა გაცემული.

მოკლედ

ძიულო. პორტუგალიის გრან-პრი. „ბრინჯაო“. გიორგი ბერიაშვილი (100 კგ).

ჩოგბურთი. ავსტრალიის ლია პირველობა. ფინალი. ვაშები. რაფაელ ნადალი – დანიელ მედვედევი 3:2 (2-6, 6-7, 6-4, 6-4, 7-5). ესპანელმა 21-ე დიდი სლემი მოიგო და ფედერერსა და ჯოკოვიჩს გაუსწრო (20-20). ქალები. ეშლი ბარტი – დანიელა კოლინზი 2:0 (6-3, 7-6). ეს ადგილობრივი ოლიმპიური ჩემპიონისათვის მეოთხე უმაღლესი ტიტულია.

სელაბურთი. ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. მატჩი III ადგილისთვის. დანია – საფრანგეთი 35:32 (დამატებით დროში). ძირითად დრო – 29:29). ფინალი. შვედეთი – ესპანეთი 27:26.



ყატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩი ნიკოლოზ რევაზიშვილი ყატარის კულტურის სამინისტროს პოეზიის ცენტრის დირექტორს შაბაბ ბინ არარ ალ ნუაიმის შესვდა.

მხარეებმა განიხილეს საელჩოსა და ყატარის კულტურის სამინისტროს პოეზიის ცენტრს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები და

ყატარის პოეზიის კონკურსში გიორგი ლობჯინიძემ გაიმარჯვა

ერთობლივი პროექტები ყატარში ქართული მწერლობის პოპულარიზაციის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოჰაში, 2022 წლის მარტში დაგეგმილ პოეზიის საერთაშორისო დღეზე, ქართული ლექსების არაბული თარგმანების წარმოჩენის შესაძლებლობას.


ყატარის კულტურის სამინისტროს პოეზიის ცენტრის დირექტორმა საქართველოს ელჩს გადასცა ქართველი პოეტის - გიორგი ლობჯინიძისთვის განკუთვნილი სიგელი პოეზიის კონკურსში „ნაზრა“ გამარჯვებისთვის. ყატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოსა და ყატარის კულტურის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით, ყოველწლიური პოეზიის კონკურსი „ნაზრა“ 2021 წელს ქართულ ლექსებს დაეთმო. კონკურსი გასული წლის 15-25 სექტემბერს გაიმართა, ხოლო საკონკურსო ლექსების თემა „ადამიანი - პოეზიისა და სიკეთის შუაგული“ იყო. კონკურსში გიორგი ლობჯინიძემ გაიმარჯვა ლექსით „ბალი უდაბნოში“.

ელჩმა ყატარის კულტურის სამინისტროს პოეზიის ცენტრის დირექტორს საჩუქრად ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის არაბულად ნათარგმნი ნაწარმოებების კრებული გადასცა.

ჰაერის ტემპერატურა 15-18 გრადუსამდე მოიმატებს!

ბარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 4 თებერვლამდე საქართველოში შედარებით თბილი და უმეტესად უნაღვეო ამინდია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +13, +18, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +10, +15 გრადუსამდე მოიმატებს.

თბილისშიც უნაღვეო ამინდი იქნება. ჰაერი +13, +15 გრადუსამდე გათბება.



საქართველოს რეპონსული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით არსებული სახელმწიფო სექტორის დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება

გიულაია მამულოვას შეტყობინების თაობაზე

ქვეყნდება „აუსილავალი საზოგადოებრივი საქონლისათვის საქონლის რეპონსივის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქსპრპრისათვის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბოლნისის რაიონული სასამართლოს (შემდგომში - სასამართლო) 2021 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/124-21), ადგილობრივი მნიშვნელობის მარნეულის-ლომათაგორა-ალგეთის საავტომობილო გზის (სივრძით - 15 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების (შემდგომში - პროექტი) განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, თქვენს საკუთრებაში არსებულ, ქალაქ მარნეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავე) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.02.13.393) მთლიან ფართობზე 1000 კვ. მეტრზე (შემდგომში - საქსპროპრიაციო ქონება), რაზეც 2021 წლის 15 ნოემბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

ნება - 1362.81 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს საქსპროპრიაციო ქონებაზე, ექსპროპრიაციის შედეგად გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა, თქვენს მიერ წარმოადგენილ უნდა იქნას საგადასახადო გირავნობის გაუქმების დამადასტურებელი, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი, წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე წარმოადგინოთ თქვენი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც დეპარტამენტი განახორციელებს საქსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ, თქვენთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვას.

ნიშანდობლივია, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ამონაწერის თანახმად საქსპროპრიაციო ქონებაზე ფიქსირდება საგადასახადო გირავნობა (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102020445543, 20/11/2020, 11:25:30; განირა ასლანოვა ს/ნ 134213652, პ/ნ 28001020427; საგანი: მთელი ქონება; საფუძველი: შეტყობინება, №0567808, 19.11.2020, შემოსავლების სამსახური), თუმცა საჯარო რეესტრის ყადაღის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრში აღნიშნული მონაცემები ვერ მოიძებნა. გამომდინარე აქედან, დეპარტამენტმა 2021 წლის 09 დეკემბრის №2-15/20228 წერილით მიმართა სსიპ - შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მოწოდების მიზნით, რაზეც შემოსავლების სამსახურის 2021 წლის 30 დეკემბრის №21-17/153605 წერილით დეპარტამენტს ეცნობა საქსპროპრიაციო ქონებაზე საგადასახადო გირავნობის არსებობის თაობაზე. წერილში ასევე მითითებულია, რომ განირა ასლანოვა (პ/ნ 28001020427) 2021 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება საგადასახადო დავალიანება -

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის დანაწესების თანახმად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხა განთავსდება ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში, თანხის მიღება შესაძლებელი იქნება, მხოლოდ თქვენს მიერ, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული, დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, საგადასახადო გირავნობის გაუქმების/არარსებობის თაობაზე. ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამოტანი მიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიკეთება სანოტარო ხარჯები).

სანთელი

თინა და ჯუმბერ პატიაშვილები ოჯახით დიდ მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა

ჩარიტა ჯაფარიძე-პატიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოში „ომიკრონი“ გავრცელების შემთხვევა დადასტურდა!

დაავადებამ კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის ამირან გამყრელიძის განცხადებით, საქართველოში „ომიკრონი“ გარდაცვალების შემთხვევა დადასტურდა. ამის შესახებ მან „პრაიმ ტაიმს“ განუცხადა.

გამყრელიძის განცხადებით, მომავალ კვირას გახდება ცნობილი უსუსტი მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი გარდაიცვალა საქართველოში „ომიკრონის“ შტამით და ამ ეტაპზე კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს.

82 წლის მამამ უილი სსიპ-ში დაიღუპა!

ბორში მომხდარი უმძიმესი დანაშაულის ფაქტზე პოლიციამ 82 წლის მამაკაცი დააკავა. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დაკავებულმა საკუთარ შვილს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაცხენა: შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1940 წელს დაბადებული კ.მ. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა გორში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შვილს - 1975 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაცხენა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

ყაჩაღობა ქუთაისში: იარაღის მუხარით გ.მ.-მ ფარეზაშვიტაშვილს თანხა გასტაცა!

ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე პოლიციამ 32 წლის მამაკაცი დააკავა. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაკავებულმა ერთ-ერთ აფთიაქში იარაღის მუქარით ფარეზაშვიტაშვილს 300 ლარამდე თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.მ. ქუთაისში დააკავეს. მას ბრალად ყაჩაღობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება ედება. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 30 იანვარს, ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში პისტოლეტის მუქარით ფარეზაშვიტაშვილს დაახლოებით 300 ლარის ოდენობის თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი და ყაჩაღური გზით დაუფლებული თანხა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს...“

დახმარებისა და რეკლამის მსურველებო!


განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. შორღანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძოლებს მუშაობას მისამართზე - თევზოკა მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98.

მაღე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას!



„სველი ქვიშა“ - პრესტიჟული ჯილდო

Solothurn Film Festival-ზე გამარჯვებული გამოავლინეს. ელენე ნავერიანის ფილმს „სველი ქვიშა“ პრესტიჟული ჯილდო The Prix de Soleure გადაეცა...

თველოს კოპროდუქციაა. ფილმის მსოფლიო პრემიერა 2021 წლის აგვისტოში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა...

ნიგნის საჯაროდ კითხვის დღე

2 თებერვალს, 14-დან 16 საათამდე, პუშკინის სკვერში, „თბილისი-ნიგნის მსოფლიო დედაქალაქისა“ და საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით, ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული, სახალხო ღონისძიება გაიმართება.



ლონისძიების მასპინძლები იქნებიან მწერლები თეონა დოლენჯაშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ბესო ხვედელიძე, ეკატერინე ტოგონიძე და მიშა ბახსოლიანი...



ლეანდარის უნიკალური კონსერტის სრული ვერსია

The Beatles-ის „სახურავზე გამართული კონცერტი“, რომელიც ლეანდარული ჯგუფის მიერ ცოცხლად შესრულებული ბლოგ გამოსვლა იყო...

კონცერტი ლონდონში, The Beatles-ის სტუდიის სახურავზე 1969 წლის 30 იანვარს გაიმართა და მას ქალაქში აურზაური მოჰყვა...

ბარდისგან ლაონიდ კურაველიძე

რუსი მსახიობი ლაონიდ კურაველიძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, პენსიონის გამო, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს...



ბალაპარჩინოთი კოალები!

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის სკოტ მორისონის ოფისის ცნობით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, კოალების პოპულაციის გრძელვადიანი დაცვისა და აღდგენის მიზნით, ქვეყანა 50 მილიონი ავსტრალიური დოლარის დახარჯვას აპირებს.

„კოალები ავსტრალიის ყველაზე საყვარელი სიმბოლოა, რომელიც ქვეყანას იცნობენ. მზად ვართ, დავიცვათ მათი თაობები როგორც აქ, მათ სამშობლოში, ისე - მთელ მსოფლიოში“...

ბალისტიკური რაკეტის ბალაქული დედაქონა

ფინანსება გამოაქვეყნა დედაქონის ფოტოები, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის ყველაზე მძლავრი რაკეტებიდან - Hwasong-12-დან არის გადაღებული.



მიუხედავად აშშ-ის, სამხრეთ კორეის, იაპონიისა და მრავალი სხვა ქვეყნის მწვავე კრიტიკისა და არსებული თუ დაანონსებული სანქციებისა, მხოლოდ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ეს უკვე მე-7 რაკეტაა, რომელიც ჩრდილოეთ კორეამ გამოსცადა.



კოკაინით სავსე ქოქოსები

კოლუმბიის პოლიციამ კოკაინით სავსე 20 000-მდე ქოქოსი ამოიღო. ქოქოსების პარტია იტალიის ქალაქ გენუაში უნდა ჩასულიყო.

სამართალდაცველების განცხადებით, ექსპერტიზამ აჩვენა, რომ 19 780 ქოქოსის რძე თხევადი კოკაინით იყო ჩანაცვლებული.

კოსმოსში შეჯახებას ელიან...

SpaceX-ის რაკეტის ნაწილი, რომელიც ილონ მასკმა კოსმოსში 2015 წლის თებერვალში გაგზავნა, 5 კვირაში, მთვარის ბუნებრივ მხარეს შეეჯახება.

4 თვის შემდეგ, მან დედამიწიდან 997 793 კილომეტრი გაიარა და დანიშნულების ადგილამდე მიიღწია. სისტემა დღემდე, ყოველდღიურად გზავნის დედამიწაზე ფოტოებს, თუმცა, რაკეტის მეორე საფეხურს არ აღმოაჩნდა საკმარისი სანავიგაციო დედამიწაზე დასაბრუნებლად ან „დედამიწა-მთვარის სისტემისგან თავის დასაღწევად“...

უსწოხი ობიექტი ირმის ნახტომის ბალაქტიკაში

ავსტრალიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ირმის ნახტომში უცნობი მბრუნავი ობიექტი აღმოაჩინეს, რომელიც, მათი მტკიცებით, არც ერთ ადრე აღმოჩენილ ობიექტს არ ჰგავს.

აღმოჩენის ავტორი კარტინის უნივერსიტეტის სტუდენტი ტაირონ ოქლორია. „ობიექტი დაკვირვებისას, რამდენიმე საათის განმავლობაში, ჩნდებოდა და ქრებოდა. ეს სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან ცაში არაფერია ცნობილი რომელიმე ობიექტზე, რომელიც იგვანს აკეთებს“...

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24.

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე - გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35. შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79. იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3. კოდონ ჰაუფი.

ავტორთა სახურავადღობა! რედაქციის მიერ შეუქმნათვის მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გუდას არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითა და პასუხის ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ხვალ, 2 თებერვალს

Table with subscription rates and contact information. Includes 'სკ' logo and details for print and online subscriptions.